

მხედველობის სირთულის მქონე მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა

გზამკვლევი მშობლებისთვის



გზამკვლევი მუშაობდნენ:

ავტორი:

ლუსია ობანეჯიანი, ოკუპაციური თერაპევტი

კონსულტანტი:

თამარ ისაკაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინატორი

იდეის ავტორი:

ეკატერინე დგებუაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი

კორექტორი:

მარიამ ბედიანაშვილი

დიზაინერი:

მარიამ ჯიჯაძე

დამკაბადონებელი

კესო მამფორია

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2018

სარჩევი

თავი 1. მხედველობითი დარღვევა და მისი ზოგადი დახასიათება

1.1 რას გულისხმობს „მხედველობითი დარღვევა“	9
1.2 მხედველობითი დარღვევის გამომწვევი მიზეზები ბავშვებში	11
1.3 მხედველობით დარღვევასთან ერთად არსებული ჯანმრთელობის სხვა მდგომარეობები	16
1.4 მხედველობითი დარღვევის გავლენა ბავშვის განვითარებაზე	18
1.5 თვალბრუნვის ჯანმრთელობაზე ზრუნვა	27
1.6 მშობლის მხარდაჭერა	30

თავი 2. მხედველობითი დარღვევის დიაგნოსტიკა და მართვა

2.1 მხედველობის დაქვეითების სიმპტომები	33
2.2 მხედველობითი დარღვევის დიაგნოზის დასმა	36
2.3 მხედველობის ფუნქციური შეფასება - რას ხედავს ბავშვი	38

თავი 3. როგორ ეხმარებიან სპეციალისტები მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს

3.1. სპეციალისტები და მათი ფუნქცია-მოვალეობები ბავშვთან მუშაობის პროცესში	47
<input checked="" type="checkbox"/> ოკუპაციური თერაპევტი	
<input checked="" type="checkbox"/> ფსიქოლოგი	
<input checked="" type="checkbox"/> ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი	
<input checked="" type="checkbox"/> ოფთალმოლოგი და ოპტომეტრისტი	
<input checked="" type="checkbox"/> სპეციალური განათლების კვლევები	
<input checked="" type="checkbox"/> სხვა სპეციალისტები	
3.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სკოლაში	57
3.3. შობლის როლი ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და განხორციელებაში	60

თავი 4. მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლის განათლება

4.1. მოსწავლის გონებრივი და მოტორული განვითარების ხელშეწყობა	62
4.2. აკადემიური უნარების განვითარება: წერა-კითხვა, მათემატიკური აზროვნება	71
4.3. თვითმოვლის უნარების განვითარება და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა	87
4.4. ორიენტაციისა და მობილობის უნარების განვითარება	92
4.5. დახმარე საშუალებები და ტექნიკური აღჭურვილობები	94
4.6. გარემოს ადაპტირების მნიშვნელობა მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვისთვის	95

შესავალი

მოცემული სახელმძღვანელო შექმნილია მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლის მშობლების და ოჯახის გაძლიერების მიზნით და მოიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას განათლების შესახებ.

ყველა ბავშვს, განურჩევლად მისი საგანმანათლებლო საჭიროებებისა, აქვს კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლება, მიიღოს სრულფასოვანი განათლება თანატოლებთან ერთად. როდესაც ბავშვს აქვს მხედველობითი დარღვევა, ის საჭიროებს მშობლების, მასწავლებლებისა და სკოლის მხარდაჭერას. მოსწავლის მუდმივი წახალისება, ხელშეწყობა და სპეციალური საგანმანათლებლო გეგმების შექმნა შეიძლება იყოს სწავლის განუყოფელი ნაწილი.

მოსწავლის მიღწევებს დიდწილადაც განაპირობებს მშობლების მოლოდინები. ამიტომ მნიშვნელოვანია, მშობელს სჯეროდეს, რომ მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლე სწავლაში წარმატებას აუცილებლად მიაღწევს.

გზამკვლევი ეხმარება მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლის ოჯახს სწორი წარმოდგენებისა და მოლოდინების შექმნაში; განმარტავს, თუ რას ნიშნავს მხედველობითი დარღვევა, როგორ ხდება მისი აღმოჩენა და რაოდენ მნიშვნელოვანია ადრეული დიაგნოსტიკა; აღ-

წერს მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლესთან სხვადასხვა დარგის პროფესიონალების მუშაობის საჭიროებასა და სპეციფიკას; მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ რა საგანმანათლებლო გამოწვევების წინაშეა მოსწავლე და მისი ოჯახი. მასში ასევე განხილულია მოსწავლის განვითარებისთვის აუცილებელი ღონისძიებები, სერვისები და რესურსები.

თითოეული მოსწავლე განსხვავებულია და საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომას. ამ მიდგომის შემუშავებაში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს მშობელს.

მოსწავლე შეიძლება საჭიროებდეს გარემოს და მასალების მორგებას. მაგ.: ბრაილის შრიფტით დაბეჭდილ წიგნებს, პირველ მერხთან ჯდომას და მსგავს ღონისძიებებს რათა მაქსიმალურად იყოს ჩართული საკლასო აქტივობებში.

გზამკვლევაში ასევე მოცემულია დამატებითი სავარჯიშოები და ქმედებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარებას და უადვილებს სწავლას, მეცადინეობას. ჩამოთვლილია სასარგებლო რჩევები გარემოს ადაპტირებასა და ტექნოლოგიურ საშუალებებზე.

თავი 1.

მხედველობითი დარღვევა და მისი ზოგადი დახასიათება

მოცემული თავი განმარტავს მხედველობითი დარღვევის ტერმინს, განიხილავს მის გამომწვევ მიზეზებსა და პრევენციის (პროფილაქტიკის) გზებს. აღწერს ბავშვის განვითარების თავისებურებებსა და მშობლის მხარდაჭერის მნიშვნელობას.

1.1. რას გულისხმობს „მხედველობითი დარღვევა“?

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მიხედვით (ICD-10,2006წ)), მხედველობითი ფუნქციონირება იყოფა 4 ძირითად კატეგორიად:

- ნორმალური მხედველობა
- მხედველობის ზომიერი დაქვეითება
- მხედველობის მძიმე დაქვეითება
- უსინათლობა (მხედველობის არ ქონა)

მხედველობის ზომიერი და მძიმე დაქვეითების ჯგუფს ეწოდება მცირემხედველობა. მცირემხედველობა არის სათვალის ან კონტაქტური ლინზების გამოყენების, მედიკამენტების მიღების ან ოპერაციის ჩატარების მიუხე-

დავად მხედველობის დაქვეითება. მარტივად რომ ვთქვათ „არასაკმარისი მხედველობა იმისათვის რომ აკეთო ის, რაც გინდა“. მცირემხედველ მოსწავლეს სათვალის ტარების შემთხვევაშიც კი გაუჭირდება წერა-კითხვა იმ დატვირთვით და იმ დისტანციაზე, რაც ნორმალური მხედველობის მქონე მოსწავლეს. თითოეულ მცირემხედველ მოსწავლეს აქვს ინდივიდუალური საჭიროებები და მათი მხედველობის დაქვეითების ხარისხი განსხვავდება. შესაბამისად, მასალების მორგება და სწავლების დროს მეთოდების გამოყენება უნდა იყოს განსხვავებული.

როდესაც ბავშვის მხედველობა არის მსუბუქად დაქვეითებული და მისი გასწორება შეუძლებელია სათვალის, ძალიან ხშირად მოსწავლეს არ უყვარს მისი ტარება სხვადასხვა მიზეზის გამო (სათვალის სტილი, ფერი და ა.შ.). ამ დროს ბავშვის მხედველობა არის შემცირებული, რის გამოც მცირდება მისი ჩართულობა კლასში. ის ფაქტობრივად ხდება მცირემხედველი.

უსინათლობისა შემთხვევაში, ბავშვს შეუძლებელია შენარჩუნებული ჰქონდეს სინათლისა და სილუეტების აღქმის უნარი, თუმცა ფუნქციონირებისთვის ეს არ არის საკმარისი. ამ დიაგნოზის მქონე მხოლოდ 15%-ს აღენიშნება მხედველობის სრული დაკარგვა და ამას ეწოდება ტოტალური უსინათლობა.

უსინათლობას და მცირემხედველობას ერთად უწოდებენ მხედველობით დარღვევას. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით, დაახლოებით 19 მილიონ ბავშვს 15 წლის ასაკამდე აღენიშნებათ მხედველობის გარკვეული სირთულე.

1.2. მხედველობითი დარღვევის გამომწვევი მიზეზები ბავშვებში

მხედველობითი დარღვევა, როგორც წესი, არის გამოწვეული კონკრეტული დიაგნოზის ან დიაგნოზთა კომბინაციით. ზოგიერთი დაავადება და სინდრომი, რომელსაც შედეგად მხედველობითი დარღვევა მოჰყვება, გენეტიკურად არის განპირობებული. ბავშვს გადაეცემა ერთი ან ორივე მშობლისგან, რომელთაც, შეუძლებელია, არც კი იციან რომ ამ სინდრომის მატარებელი არიან.

მხედველობითი დარღვევა შეიძლება ნაყოფის ჩამოყალიბების პროცესში განვითარდეს. მაგ.: თუ ორსული ქალი დაინფიცირდა წითელას ვირუსით. ასევე საფრთხეს წარმოადგენს მშობიარობისას მიღებული ტრავმა, ან ბავშვის დღენაკლულობა, როდესაც ბავშვის წონა 1300 გრამზე ნაკლებია და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის საჭირო ხდება ოქსიგენოთერაპიის (ჟანგბადის მიწოდება) ჩატარება.


ბავშვებში მხედველობითი დარღვევის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს ბავშვობის ასაკში გადატანილი დაავადებები, ვირუსული ინფექციები, თავის ტვინის სიმსივნე ან ტრავმები (ავტოსაგზაო შემთხვევები, სპორტზე მიღებული დარტყმა თავის ქალის არეში და ა.შ.). ასევე, ხანგრძლივად ისეთი მედიკამენტების მიღებამ, როგორცაა მაგ.: სტეროიდები შეიძლება გამოიწვიოს მხედველობის სისტემის დროებითი ან მუდმივი დაზიანება.

ამერიკის შეერთებული შტატებში სტატისტიკის მიხედვით, სკოლამდელი ასაკის ბავშვების 5%-ს, ხოლო სკოლის ასაკის ბავშვების 25 %-ს უვლინდება მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები. ყველაზე ხშირად, მხედველობით სირთულეს იწვევს:


 ახლომხედველობა (მიოპია) - თვალის ფოკუსირების პრობლემა რომელიც იწვევს შორს მდებარე საგნების ბუნდოვნად დანახვას. არსებობს მიოპიის სხვადასხვა ხარისხი: მსუბუქი, საშუალო და მძიმე. მიოპია პროგრესული დაავადებაა. ვითარდება უფრო ხშირად დაწყებით კლასებში და თანდათანობით მატულობს 18-20 წლის ასაკამდე. მიოპიის მქონე ბავშვი საჭიროებს ე.წ. „მინუსიანი“ სათვალის ან კონტაქტური ლინზების ტარებას და ამით





მისი მხედველობა უახლოვდება ნორმალურს. მიოპიის კორექცია შეიძლება, ასევე, ოპერაციით.

 შორსმხედველობა (ჰიპეროპია) - ასევე თვალის ფოკუსირების პრობლემაა და იწვევს ახლოს მდებარე საგნების ბუნდოვნად დანახვას. მისი კორექცია, ასევე, ხდება სათვალით, ე.წ. „პლიუსიანი“ სათვალით ან კონტაქტური ლინზებით. ჰიპეროპია ხშირად არის შეჭიდული სხვა დაავადებებთან, როგორცაა კატარაქტა. ასეთ შემთხვევაში, მხედველობის კორექცია სრულად ვერ ხერხდება და სათვალის ტარების შემთხვევაშიც კი ბავშვს აქვს მხედველობის დაქვეითება.





 ასტიგმატიზმი - თვალის ფოკუსირების შემდეგი პრობლემაა. მისი კორექცია შესაძლებელია სათვალით. ხშირად გვხვდება მიოპიასთან და ჰიპეროპიასთან ერთად. ის იწვევს აღქმული სურათის დეფორმაციას.


 სიელმე (სტრაბიზმი) - მდგომარეობა, როდესაც მზერა ასიმეტრიულია. არის გამოწვეული ერთი თვალის კუნთის დისფუნქციით. ხშირად, მისი გასწორება ხდება ჯანმრთელი თვალის დაფარვით, რაც ხელს უწყობს დაზიანებული თვალის უფრო მეტად გამოყენებას. ზოგ შემთხვევაში, კორექცია ხდება ოპერაციის მეშვეობით.


 ამბლიოპია - ე.წ. „ზარმაცი თვალი“ ნიშნავს, რომ მხედველობა ერთ თვალში შემცირებულია იმის გამო, რომ თვალი და ტვინი არ მუშაობენ შეთანხმებულად.


ამბლიოპიის სამკურნალოდ გამოიყენება სპეციალური წვეთები ან ჯანმრთელი თვალის დაფარვა. ამას განსაზღვრავს მკურნალი ექიმი.

 ნისტაგმი - მდგომარეობაა, როდესაც ორივე თვალს ახასიათებს უნებლიე ბიძგისებრი მოძრაობები. ხშირად გვხვდება კატარაქტასთან, მიოპიასთან და სხვა დაავადებებთან ერთად. უქმნის ბავშვს მზერის ფოკუსირების პრობლემას.


 დღენაკლულთა რეტინოპათია - ხშირად ვლინდება მცირეწონიან დღენაკლულ ბავშვებში. ვითარდება თვალის სისხლმომარაგების დარღვევის ან თვალის ბადურაზე არსებული ნაწიბურების გამო. ხშირად ქრება თავისით, თუმცა, შემთხვევის სიმძიმიდან გამომდინარე, იწვევს მხედველობის შემცირებას ან სრულიად დაკარგვას.


 გენეტიკური დაავადებები, როგორცაა კატარაქტა (თვალის ბროლის სრული ან ნაწილობრივი შემღვრევა) და გლაუკომა (იწვევს თვალის წერვის დაზიანებას) ასევე, შეიძლება გახდეს მხედველობითი დარღვევის მიზეზი.


 კორტიკული ვიზუალური დარღვევა - არის თავის ტვინის ქერქის იმ ნაწილის დაზიანება, რომელიც ახდენს მხედველობითი ინფორმაციის დამუშავებას. მდგომარეობა შეიძლება გაჩნდეს ჰიპოქსიის (ჟანგბადის ნაკლებობა), თავის არეში ტრავმის ან ინფექციის შედეგად (მაგ.: ენცეფალიტი, მენინგიტი). კორტიკული ვიზუალური დარღვევა იწვევს მხედველობის დროებით ან მუდმივ დაკარგვას.

 ოპტიკური (მხედველობითი) წერვის ატროფია - ამ დაავადების დროს ხდება მხედველობითი წერვის სრული ან ნაწილობრივი ატროფია, ანუ „სიკვდილი“. მიუხედავად იმისა, რომ თვალის ორგანო შეიძლება იყოს ჯანმრთელი, მხედველობა იქნება დაქვეითებული ან დაკარგული იმის გამო, რომ წერვით ვერ ხორციელდება ვიზუალური ინფორმაციის გატარება თავის ტვინის ნაწილში. მდგომარეობა ქრონიკულია.

მხედველობის სირთულე, ასევე, შეიძლება იყოს კომპლექსური, ხშირად გენეტიკური, მდგომარეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი სიმპტომი. ასეთებია:

 დაუნის სინდრომი - დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებს შესაძლოა ჰქონდეთ მხედველობითი დარღვევა, მათ შორის კატარაქტა, ნისტაგმი, სტრაბიზმი (სიელმე).

 მარფანის სინდრომი - წარმოადგენს მემკვიდრულ მდგომარეობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ანომალურად გრძელი და თხელი თითები, ფეხის თითები და ძვლები, გულის თანდაყოლილი პრობლემები, კუნთების ზოგადი განუვითარებლობა და მხედველობითი დარღვევა, როგორცაა მიოპია, ბადურის ჩამოშლის საშიშროება, ნაწილობრივ გადახრილი თვალის ბროლი (დისლოცირებული ბროლი).

 შაქრიანი დიაბეტი - მდგომარეობა, რომლის დროს ორგანიზმი არ გამოყოფს საჭირო რაოდენობის ინსულინს

ან ვერ იყენებს მას სათანადოდ. დაავადება აფერხებს სისხლ-ძარღვების ფუნქციონირებას და აზიანებს თვალის ბადურას (თვალის სისხლძარღვოვანი შრე). ამ მდგომარეობას უწოდებენ დიაბეტური რეტინოპათია.

1.3. მხედველობით დარღვევასთან ერთად არსებული ჯანმრთელობის სხვა მდგომარეობები

მხედველობითი დარღვევა ხშირად გვხვდება სხვა დიაგნოზებთან კომბინაციაში. ის შეიძლება იყოს მოსწავლის ერთადერთი დიაგნოზი ან იყოს რამდენიმე დიაგნოზებიდან ერთ-ერთი. ზოგ მოსწავლეს მხედველობით დარღვევასთან ერთად აქვს განვითარების შეფერხება, სმენის დარღვევა ან სმენის დაქვეითება, მოტორული შეზღუდვები და სხვ. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ყოველი დარღვევის ცალკეულად შეფასება და ამ მდგომარეობის კომბინაციის ზეგავლენის განსაზღვრა ბავშვის ფუნქციონირებაზე. მაგ.: უსინათლო ბავშვმა შეიძლება უარი თქვას გადაადგილებაზე არა იმის იმის გამო, რომ მას აქვს სუსტი კუნთები, არამედ იმიტომ, რომ ის არ გრძნობს თავს დაცულად და ეჯახება მის გარშემო არსებულ საგნებს და თავის დაცვის მიზნით ურჩევნია ჯდომა. ასე, კომპლექსურად ხდება ყოველი სიტუაციის შეფასება და ვლინდება წამყვანი შემზღუდველი მიზეზი, რათა სწორად მოხდეს სპეციალისტების მიერ ბავშვთან მუშაობის დაგეგმვა.

მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს აქვს სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღების სირთულე. ვითარება უფრო რთულდება, როდესაც მოსწავლეს არ შეუძლია ინფორმაციის დამუშავება/გააზრება, მნიშვნელოვანი ბგერების მოსმენა და გადაადგილება სამყაროს შეცნობის მიზნით. მსგავსი პრობლემების მქონე მოსწავლეები საჭიროებენ პროფესიონალების ჩართულობას: ოკუპაციურ და ფიზიო თერაპევტის სერვისს, მეტყველებისა და კომუნიკაციის სპეციალისტს, სოციალურ მუშაკს, აუდიოლოგს, სურდოლოგსა და სხვა სპეციალისტს მათი შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარებისთვის. ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ისინი საჭიროებენ დამხმარე საშუალებების გამოყენებას. მაგ.: კომუნიკაციისთვის კომპიუტერული პროგრამებით სარგებლობა. პეციალისტების ჩარევა უნდა მოხდეს რაც შეიძლება ადრე, რათა მშობლებთან ერთობლივი მუშაობით მოხდეს ბავშვის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარება. ამით მშობელს ეცოდინება დაბადებიდანვე ბავშვთან მუშაობის სწორი მიდგომები, მეთოდები და შეექმნება რეალისტური მოლოდინები.

გარდა ზემოთაღნიშნული მდგომარეობებისა, ბავშვს, ასევე, შეიძლება ჰქონდეს ჯანმრთელობის სხვა სირთულეები, როგორცაა ბადურის ჩამოშლის საშიშროება, გულსილხლძარღვოვან სისტემასთან პრობლემები, ეპი-

ლევსია, ჰიდროცეფალია და ა.შ. მნიშვნელოვანია ამის გათვალისწინება ბავშვთან მუშაობისას, რადგან ზოგ შემთხვევაში ფიზიკური დატვირთვა, ციმციმა შუქები და სხვა მანიპულაციები შეიძლება იყოს ბავშვის ჯანმრთელობისთვის მავნებელი. აქედან გამომდინარე, ყველა ბავშვი საჭიროებს განვითარების ხელშემწყობ, სპეციალისტების (მკურნალი ექიმი, ოფთალმოლოგი, ადრეული განვითარების სპეციალისტი და სხვა) მიერ დაგეგმილ ინდივიდუალურ პროგრამას.

1.4. მხედველობითი დარღვევის გავლენა ბავშვის განვითარებაზე

ადამიანი სწავლობს და ვითარდება გრძნობითი ორგანოებიდან (მხედველობა, სმენა, შეხება, გემოვნება, ყნოსვა, და სხვა.) მიღებული ინფორმაციის გადამუშავებით. ინფორმაციის ყველაზე დიდი ნაწილი არის ვიზუალური, თვალით დანახული. ახალშობილი ბავშვი სამყაროს იკვლევს უმეტესად მხედველობით, აღიქვამს დედის სახეს, სილუეტებს, ფორმებს, ფერებს, აკვირდება მოძრაობებს, მიმიკას და ა.შ. შემდგომში, ის მიზამდით სწავლობს დაჯდომას, სიარულს, ამყარებს თვალთ კონტაქტს, ეცნობა სათამაშოებს და ასე გადის განვითარების გარკვეულ ეტაპებს. მხედველობითი დარღვევის მქონე ახალშობილი მოკლებულია ამ შესაძლებლობას. მისი ინფორმაციის

წყარო არის ყველა დანარჩენი გრძნობითი ორგანოებიდან მიღებული ინფორმაცია და ნარჩენი მხედველობა მისი არსებობის შემთხვევაში. შესაბამისად, ეს გარკვეულ ცვლილებებს შეიტანს ბავშვის განვითარებაში და შეიძლება გამოიწვიოს მისი შეფერხება ან შენელება.

ბავშვის განვითარება შეიძლება დავეოთ შემდეგ ნაწილებად: მოტორული განვითარება, კოგნიტური განვითარება, ემოციური განვითარება, კომუნიკაცია/მეტყველება და სოციალური უნარ-ჩვევები.

მოტორული განვითარება გულისხმობს ბავშვის მსხვილი მოტორიკისა (ჯდომა, ხოხვა, დგომა, სიარული, სირბილი, ხტუნვა და ა.შ.) და ნატიფი მოტორიკის (ხელებით მანიპულაცია, მაგ.: ხატვა, ძერწვა, კონსტრუქტორით თამაში და ა.შ.) განვითარებას. მხედველობა არის მოძრაობისთვის მამოტივირებელი შეგრძნება. იმისათვის, რომ ბავშვმა შეძლოს გადაადგილება, მას უნდა ჰქონდეს სტიმული, მაგ.: ჭრელი ბურთი, რომლისკენაც ბავშვს მოუხდება გახიზება. სტიმულის არარსებობის შემთხვევაში ბავშვი აირჩევს უმოქმედოდ ყოფნას, რაც შეაფერხებს მის ფიზიკურ განვითარებას. როგორც წესი, მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვები ჯდომას, სიარულს, სირბილს და ა.შ. იწყებენ უფრო გვიან, ვიდრე მხედველი ბავშვები. თავისუფალი სიარული და სირბილი არის შეფერხებული იმის გამო, რომ ბავშვი ვერ ხედავს გარშემო არსებულ

დაბრკოლებებს და ხშირად ეჯახება საგნებს. რაც უფრო მეტს იმოდრაგებს ბავშვი, მით უფრო ძლიერი იქნება ის ფიზიკურად და უფრო დახვეწილი იქნება მისი მოძრაობები. ხშირად, ფიზიკურად ჯანმრთელ ბავშვებს მხედველობითი დარღვევით აქვთ სუსტი კუნთები, რაც არის გამოწვეული უმოქმედობით და მოძრაობების შეზღუდვით. აუცილებელია მშობელმა მიმართოს შესაბამის სპეციალისტებს, რათა ბავშვის მოტორული განვითარება არ ჩამორჩეს ნორმას. სპეციალისტების დახმარებით მშობელი მიხვდება, როგორ უნდა დატვირთოს ბავშვი, რა თამაშები ითამაშოს მასთან, რათა ის ფიზიკურად იყოს აქტიური.

ნატიფი მოტორული უნარების განვითარება ხდება მხედველობის უშუალო მონაწილეობით, მაგ.: იმისათვის რომ ბავშვმა ააწყოს სათამაშო პირამიდა, უნდა დაინახოს რგოლები, მათი ზომები და მიზამოს სხვას, რათა მიხვდეს თამაშის წესებს. მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვი სამყაროს აღიქვამს შეხებით და სწავლობს კეთებით. ნატიფი მოტორული უნარების მეშვეობით ის იღებს ინფორმაციას საგნების ფორმაზე, დანიშნულებაზე, ფაქტურაზე და ასე იმახსოვრებს მათ. მაგ.: ბავშვს უჭირავს კალამი. ხელში ტრიალით ის სწავლობს მის ფორმას, ფაქტურას, ხოლო კალმისტრის დაშლით ის ეცნობა შიგნით მოთავსებულ ნაწილებს. იმისათვის, რომ ბავშვმა

შემლოს ყველა ამ მოქმედების შესრულება, ის საჭიროებს კარგად განვითარებულ ნატიფ მოტორულ უნარებს. ამ უნარების განვითარება, ასევე, ხელს უწყობს ბავშვის დამოუკიდებლობას სხვადასხვა სფეროში, როგორცაა თვითმოვლა, სწავლა, მუშაობა და ა.შ.

ბევრი მშობელი ფიქრობს, რადგან ბავშვი არის მხედველობითი დარღვევით ის ვერასდროს შეძლებს წერა-კითხვას, კერვას და სხვა საქმიანობის შესრულებას, რომელიც საჭიროებს თვალისა და ხელის კოორდინაციას (თვალი აკონტროლებს იმას, რასაც აკეთებს ხელი). თუკი ბავშვს ამ უნარების განვითარებისთვის შესაბამის პირობებს არ შეუქმნიან, მას გაუჭირდება ამ აქტივობების შესრულება. ბავშვობიდან საჭიროა ხელების მაქსიმალური დატვირთვა მაგ.: დამოუკიდებლად ჭამა კოვზით, ზონრების/ღილების შეკვრა, თამაში სხვადასხვა ფაქტურის ამოცნობაზე, მოზაიკით თამაში და ა.შ.

კოგნიტური განვითარება გულისხმობს სამყაროს შესახებ ინფორმაციის მიღებას, დამუშავებას, დამახსოვრებასა და გამოყენებას; ბავშვის აღქმის, აზროვნების, მეხსიერების განვითარებას. ყველა მიღებული ინფორმაცია სამყაროს შესახებ ცნობილია ცნებების სახით, მაგ., ბურთის ცნება - მრგვალი ნივთი რომელიც დახტის და გორაობს, ჩიტი-პატარა არსება რომელიც დაფრინავს, აქვს ბუმბულები და ა.შ. ცნებების ჩამოყალიბება არის ერთ-

ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კოგნიტური პროცესი, რადგან მასზე შენდება მომავალი კოგნიტური უნარები, როგორებიცაა კლასიფიკაცია (დაჯგუფება რომელიმე ნიშნის მიხედვით), შედარება, დამახსოვრება და სხვა. უსინათლო და მცირემხედველ ბავშვებს სამყაროს შესახებ ინფორმაცია აქვთ ან არასრული, ან არასწორი. მაგ.: უსინათლო ბავშვმა იცის მარტო მის სახლში არსებული სათამაშოების შესახებ (მათი ფორმა, დანიშნულება და ა.შ.) და არ იცის იმ სათამაშოების შესახებ, რაც მას არ აქვს შესწავლილი შეხების და სმენის გამოყენებით. ხოლო მცირემხედველმა ბავშვმა დაინახა მარტო სათამაშოს ფერი და ფორმა და ვერ შეამჩნია წვრილი ნაწილები (მაგ.: თოჯინის თითები, თვალები, ტანსაცმელი და ა.შ.). აქედან გამომდინარე ცნებების ჩამოყალიბება მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვებში მიმდინარეობს ნელა, ახასიათებს ფრაგმენტულობა (არასრული ინფორმაცია, მაგ.: ხილი არის მხოლოდ ვაშლი და მსხალი. ის ხილი, რომლებთანაც ბავშვს ჰქონდა შეხება), გენერალიზაციის სიძნელები (ცოდნის გამოყენება სხვა სიტუაციაში) და ვერბალიზმი (როდესაც ბავშვმა იცის სიტყვა, მაგრამ არ იცის მისი მნიშვნელობა). მშობლების მთავარი მიზანია ბავშვს მიაწოდონ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია საგნებისა და მოვლენების შესახებ. მაგ.: საყიდლებზე გასვლისას მშობელი აძლევს ბავშვს ყველა მანდ არსებულ ხილს ხელში დასაჭერად, სუნის

შესამოწმებლად, შემდეგ ყიდულობს თითო ცალს და აძლევს ბავშვს გასინჯვის მიზნით. ასე, მშობლები ხელს შეუწყობენ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას.

იმის გამო, რომ მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვები ნაწილობრივ ან სრულიად მოკლებულნი არიან ვიზუალური ინფორმაციის გამოყენების საშუალებას, ისინი სწავლისას უფრო მეტად იყენებენ სმენით, ტაქტილურ (შეხებითი), ყნოსვით ინფორმაციას. ამას ეწოდება კომპენსატორული მექანიზმი. მაგ.: უსინათლო ბავშვს შეუძლია უფრო მეტი ინფორმაციის დამახსოვრება, ან უფრო ყურადღებით უსმენს გარშემო არსებულ ხმებს და იყენებს მათ. ის ამას სწავლობს ცხოვრების მანძილზე. ბავშვს, რომელიც კარგავს მხედველობას დაავადების პროგრესირების გამო ამისთვის დაჭირდება დიდი დრო, რათა ისწავლოს სხვა ინფორმაციის გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში. თავიდან სწავლობს ახალ, ტაქტილურ ანბანს, ეცვლება სწავლის მეთოდები, იწყებს დამხმარე საშუალებების გამოყენებას.

ბავშვის **ემოციური განვითარება** დამოკიდებულია მშობლის კეთილდღეობაზე. ხშირად, მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვის მშობელი ვერ ეგუება ბავშვის დიაგნოზს და მისთვის ეს არის და რჩება ტრაგედიად. ეს დამოკიდებულება გადადის ბავშვზე, ბავშვს სულ ესმის მშობლის ტირილი, რომ ის არ არის სხვებივით ჯან-

მრთელი და თვლის, რომ მის გამო დედა არის სევდიანი. ამავდროულად მშობელი ცდილობს მაქსიმალურად დაუთმოს ბავშვს დრო და ზედმეტად ზრუნავს მასზე. ამას ეწოდება ჰიპერზრუნველობა. მაგ.: მშობელი აჭმევს, აცმევს, უსრულებს ბავშვს ყველა სურვილს. ჰიპერზრუნველობას შედეგად მოჰყვება ის, რომ ბავშვი იზრდება ეგოცენტრული (სამყარო ტრიალებს მის ირგვლივ, მისი აზრი ყველაზე მნიშვნელოვანია) და მას არ უვითარდება დამოუკიდებლობის უნარები (ხდება დამოკიდებული მშობელზე ჭამისას, გარეთ გასვლისას და ა.შ.).

როდესაც ბავშვი მიდის სკოლაში, ის ხვდება, რომ მას სხვებივით არ შეუძლია ინფორმაციის მიღება, აწყდება უამრავ ბარიერს გარემოში. ყოველივე ეს შესაძლოა მოქმედებდეს ბავშვის თვითშეფასებაზე.

თუ მოსწავლე მხედველობას კარგავს ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე (ტრავმის, სიმსივნის და სხვა მიზეზის გამო) მას შეიძლება გაუჭირდეს ამ მდგომარეობის მიღება და მომავლის დაგეგმვა რაც ასევე იმოქმედებს მის ემოციურ მდგომარეობაზე.

ყველაზე ძლიერი კომპენსატორული მექანიზმი მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვისთვის არის **მეტყველება**. მეტყველების მეშვეობით, უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეები ხდებიან საზოგადოების სრულყოფილი წევრები, ამყარებენ კომუნიკაციას და ქმნიან სხვადასხვა სახის ურთიერთობას (მეგობრული,


პროფესიონალური და სხვა). მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვებში მეტყველების განვითარება ხდება გარკვეული სპეციფიკით. ისინი ადვილად იმახსოვრებენ სიტყვას, მაგრამ ხშირად არ იციან მისი მნიშვნელობა. მაგ.: ბავშვმა გაიგო თვითმფრინავის ხმა, დედამ აუხსნა, რომ ეს იყო თვითმფრინავი. ბავშვმა დაიმახსოვრა სიტყვა, მაგრამ თვითმფრინავის დანიშნულება და ფორმა ბავშვისთვის უცნობი რჩება. ამ პრინციპით, შემდგომში უკვე მოსწავლე ტექსტის მოყოლის დროს შეიძლება დაიზიანდეს ფრაზები, მაგრამ წარმოდგენა არ ჰქონდეს რაზეა საუბარი ტექსტში. აქ მშობლის როლი არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რადგან მას შეუძლია იმ ინფორმაციის მიწოდება, რაც მისცემს სიტყვას დანიშნულებას და შეუქმნის ბავშვს სწორ წარმოდგენას სიტყვების და მოვლენების შესახებ. გარდა ამ თავისებურებებისა, უსინათლო და მცირემხედველ ბავშვს შეიძლება უფრო მეტად გაუჭირდეს პირის ნაცვალსახელების ხმარება და ზოგი ასო-ბგერის გამოთქმა იმის გამო, რომ ის ვერ აკვირდება ტუჩებს, პირის არტიკულაციას. ამ დროს ბავშვი შეიძლება საჭიროებდეს მეტყველებისა და კომუნიკაციის სპეციალისტის დახმარებას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის **სოციალური უნარ-ჩვევები**. მხედველობითი დარღვევა ადრეულ ეტაპზე შეიძლება გამოიწვიოს სოციალური უნარ-ჩვევების გან-

ვითარების სიმწვევები. პირველი სოციალური იმპულსი დედასა და ჩვილს შორის თვალთ კონტაქტის დროს ჩნდება. ბავშვი აკვირდება დედის მიმიკას და რეაგირებს მასზე შესაბამისად, ყალიბდება ბავშვის პირველი ურთიერთობა. უსინათლო/მცირემხედველი ბავშვი მოკლებულია ამ შესაძლებლობას. მომავალში, ურთიერთობისას, ის ნაკლებად გამოიყენებს სხეულის ენას (მაგ.: ხელის ჩამორთმევა, თანხმობის გამოხატვა თავის დაქნევით და სხვა), ჟესტებს (მაგ.: თითით საგნის ჩვენება), მიმიკას (გაოცება, გაბრაზება და ა.შ.) და შესაბამისად ვერ დააკვირდება იმას, თუ როგორ იყენებს ამ ჟესტებს სხვა ადამიანი. ამ ყველაფერმა, რომ არ შეაფერხოს მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება მნიშვნელოვანია მშობელმა აუხსნას უსინათლო ბავშვს სხეულის ჟესტების მნიშვნელობა და ასწავლოს მათი გამოყენება ურთიერთობისას.


მხედველობის დარღვევის მქონე ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს საუბრის დაწყება, ან მისი გაგრძელება, რადგანაც ვერ მიხვდეს რაზეა საუბარი, არ ჰქონდეს საკმარისი გამოცდილება გასაზიარებლად ან იყოს მორცხვი. მშობელმა მაქსიმალურად უნდა ეცადოს ბავშვის აღზრდა ასაკის შესაბამის კონტექსტში. მაგ.: უსინათლო ბავშვმა უნდა ითამაშოს კომპიუტერული თამაშები (ადაპ-


ტირებული ხმოვანი პროგრამით) რათა საერთო ინტერესი ჰქონდეს სხვა ბავშვებთან.

 მიუხედავად იმისა, რომ მხედველობა დიდ როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში, სწორი მიდგომებით და მშობლის დიდი შრომით უსინათლო და მცირემხედველი ბავშვები ვითარდებიან გონებრივად და ფიზიკურად. მათ აქვთ მაღალი ინტელექტი, არიან ჩართულები სპორტულ აქტივობებში და ჰყავთ ბევრი მეგობარი. შემდგომში, ცხოვრებაში ისინი აღწევენ წარმატებებს რაც არის მშობლების და სპეციალისტების დიდი შრომის შედეგი.

1.5. როგორ ვიზრუნოთ ბავშვის თვალის ჯანმრთელობაზე

არსებობს ბევრი რჩევა, რომლის გათვალისწინებით შესაძლებელია ბავშვების თვალის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩასახვიდან მოზარდობის ასაკამდე. ესენია:

 სწორი კვება ორსულობის და მშობიარობის შემდეგ. აუცილებელია ყველა სახის ვიტამინების და მინერალების მიღება საკვების მეშვეობით.

 აუცილებელია ბავშვის საჭმლის რაციონში იყოს ხილი, ბოსტნეული, თხილი, და თევზი. ეს საკვები შეიცავს ანტიოქსიდანტებს და ვიტამინებს (ვიტამინი C, E, თუთია, ომეგა-3 ცხიმოვანი მჟავა და ლუტეინი). მნიშვნელოვანია,

ბავშვმა მიიღოს კვირაში 350 გრამი თევზი (შეგიძლიათ გამოიყენოთ კონსერვირებული თინუსი)

😊 ბავშვის სათამაშოების სწორი შერჩევა ასაკის შესაბამისად. სათამაშოს არ უნდა ქონდეს ბასრი კუთხეები.

😊 ჩვილობიდან აუცილებელია მხედველობის სტიმულაცია ფერადი სათამაშოებით.

😊 ბავშვის თვალებზე მუდმივი დაკვირვება, ხომ არ იცვლება ის ფორმაში, ფერში, ზომაში.

😊 დროული შემჩნევა თვალის გუგების ფერის შეცვლის, გაღიაგების შემთხვევაში.

😊 თვალების მზისგან დაცვა სპეციალური სათვალეებით. (UV (ულტრაიისფერი) ნიშანი სათვალის შუშაზე) განსაკუთრებით, თუ ბავშვს აქვს ღია ფერის თვალები.

😊 ექიმთან რეგულარული ვიზიტები. რაც უფრო ადრე დადგინდება მხედველობის დაქვეითება, მით უფრო შესაძლებელია მისი აღდგენა ოპერაციით და სათვალეებით.

დღევანდელ რეალობაში მოსწავლეებს უწევთ დიდი დროის გატარება კომპიუტერთან, წიგნებთან. ეს ყველაფერი იწვევს თვალის გადაღლას და შემდგომში მხედველობის გაუარესებას. გაითვალისწინეთ:

😊 ახლო მანძილზე თვალის ფოკუსირების დროს, მაგ.: კომპიუტერთან ჯდომისას, კითხვისას, ქარგვისას დაასვენეთ თვალები ყოველ საათში ერთხელ 5 წუთის გან-

მავლობაში. გაიხედეთ შორს, დახუჭეთ თვალები ან გაისეირნეთ.

😊 დაახამხამეთ თვალები რეგულარულად. ეს ხელს უწყობს თვალის ცრემლით დასველებას, რაც იცავს მას დაზიანებისგან. ასევე ამ დროს თვალი ისვენებს.

ძალიან ხშირად, მხედველობის დარღვევის მიზეზი არის სპორტზე მიღებული ტრავმები (ბოქსი, ფეხბურთი და სხვა) თავის ქალას არეში. დარტყმამ შეიძლება გამოიწვიოს ბადურის ჩამოშლა, შინაგანი სისხლდენა, კატარაქტა და გლაუკომა. აუცილებელია ბავშვმა ატაროს სპეციალური დამცავი ჩაფხუტი და სათვალე.

ასევე მხედველობის დაქვეითების ხშირი მიზეზია თვალის საყოფაცხოვრებო ქიმიური ნივთიერებებით დაზიანება, როგორებიცაა სარეცხი საშუალებები, დეზინფექციის ხსნარები და ა.შ.. თვალში მოხვედრის შემთხვევაში ისინი იწვევენ დამწვრობას და თვალის სერიოზულ დაზიანებას. აუცილებელია, რომ ამდგვარ ნივთიერებებთან ბავშვს არ ჰქონდეს წვდომა. საგანგებო სიტუაციის დროს გაითვალისწინეთ:

😊 თუ ბავშვმა შეისხა თვალში ქიმიური ნივთიერება და თქვენ არ იცით არის თუ არა ეს სითხე საშიში თვალისთვის 20 წუთის განმავლობაში დაამუშავეთ დაზიანებული თვალი ონკანის წყლით. ამ დროს დარეკეთ სასწრაფო დახმარების ცენტრში. არ გადაადგდით ბოთლი, რაშიც იყო

დასხმული ეს ქიმიური ნივთიერება რათა ექიმმა შეძლოს მისი ამოცნობა.

😊 თუ ბავშვს თვალში მოხვდა ბლაგვი საგანი, პირველ რიგში დააკვირდით თვალის მდგომარეობას. თუ ხედავთ სისხლჩაქცევებს, ან თუ ბავშვი ვერ ახელს თვალს სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს.

😊 თუ ბავშვს თვალში მოხვდა ბლაგვი საგანი, არ აღე-
ნიშნება სისხლჩაქცევები მაგრამ თვალი სტკივა, შემცი-
რებულია მხედველობის სიმახვილე, თვალი არის წითელი
და ბავშვი მუდმივად ეხება მას აუცილებლად მიმართეთ
ექიმს. მიადეთ ცივი კომპრესი.

😊 თუ ბავშვს თვალში მოხვდა ბასრი საგანი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ზეწოლა დაზიანებულ თვა-
ლზე ან მის ქუთუთოზე. დაფარეთ თვალი ნაჭრით და
იმ შემთხვევაში, თუ საგანი ჩანს არ ამოიღოთ ის. დაუ-
ყოვნებლის დარეკეთ სასწრაფო დახმარების ცენტრში.

1.6. მშობლის მხარდაჭერა

იყო მშობელი არის ურთულესი და ამავდროულად საუ-
კეთესო საქმე ამ ცხოვრებაში. უსინათლო და მცირე-
მხედველი შვილის ყოლა არ არის მარტივი ან მთელ რიგ
გამოწვევებთანაა დაკავშირებული. გახსოვდეთ:

😊 აუცილებელია მხედველობით დარღვევაზე სწორი
წარმოდგენის შექმნა. უსინათლობა არ ნიშნავს ქვეყნის

დასასრულს და არ არის ტრაგედია. ის უნდა მივიღოთ
როგორც ბავშვის სპეციფიკა, ინდივიდუალურობა და
არა როგორც ბარიერი. ვიყოთ ორიენტირებული არა
იმაზე, თუ რის გაკეთება არ შეუძლია ბავშვს, არამედ რის
გაკეთებას შეძლებს მომავალში სწავლების შემთხვევაში.
მნიშვნელოვანია არ გვრცხვენოდეს ბავშვის მდგომარეობის
და ვიამაყოთ მისი წარმატებებით.

😊 გაიგეთ ყველაფერი ბავშვის დიაგნოზის შესახებ და
მოიპოვეთ ინფორმაცია შესაძლო ინტერვენციისა (ჩარევის)
სამკურნალო და სასწავლო ღონისძიებებზე.

😊 მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვს აქვს იგივე
ვალდებულებები რაც სხვებს. უნდა იყოს ჩართული
სახლის საქმიანობებში როგორც ყველა ოჯახის წევრი.
სპეციალური სტრატეგიების გამოყენებით უნდა ვას-
წავლოთ გარკვეული საქმიანობების შესრულება ოჯა-
ხში. ამისთვის საჭიროა გარემოს მორგება ბავშვის საჭი-
როებებზე და დამხმარე საშუალებების გამოყენება;

😊 გაეცანით მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავ-
ლის უფლებებს და იყავით მზად მათ დასაცავად
ნებისმიერ სიტუაციაში;

😊 მნიშვნელოვანია მხედველობითი დარღვევის მქონე
ბავშვის ჩართულობა ყველა იმ პროგრამაში, რასაც
გვთავაზობს სახელმწიფო: ადრეული განვითარების
ხელშეწყობის პროგრამა, სპეციალისტებთან მუშაობა,
ბაღი, სკოლა, სკოლაში არსებული სპეციალური სერვისები,

პროფესიული გადამზადების სასწავლებლები და ა.შ.

😊 კომუნიკაცია სხვა მშობლებთან არის აუცილებელი სასარგებლო რჩევების მისაღებად და გამოცდილების გასაზიარებლად. გაწევრიანდით მშობლებისთვის განკუთვნილ ჯგუფებში და იყავით აქტიურები.

😊 მნიშვნელოვანია მშობელმა ასევე მიხედოს თავს და არ იყოს დასტრესილი. მონდომებული და რეალიზებული მშობელი ბავშვს მეტად დაეხმარება;

😊 თუ მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვს ჰყავს დამმა, აუცილებელია მათთვისაც დროის გამოყოფა და მათზე მშობლების ყურადღების და ფინანსების გადანაწილება ისე, რომ ბავშვებმა არ იგრძნონ თავი დაჩაგრულად და მეორეხარისხოვნად.

👥 მშობლის სიყვარული ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვისთვის. იყავით მომთმენი, შეიძლება შედეგის მიღწევას დაჭირდეს არაერთი თვე, მაგრამ შედეგი აუცილებლად იქნება

თავი 2.

მხედველობითი დარღვევის დიაგნოსტიკა და მართვა

ამ თავში განხილულია მხედველობითი დარღვევის დიაგნოსტიკის საკითხი: პირველი სიმპტომები, მხედველობის შეფასება პროფესიონალების მიერ.

2.1. მხედველობის დაქვეითების სიმპტომები

მშობლები და მასწავლებლები ხშირად ითხოვენ რჩევას, თუ რა ნიშნებით შეიძლება მხედველობის ამა თუ იმ შეზღუდვის ამოცნობა. სამედიცინო თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი საკითხები, როგორცაა ადრეული სკრინინგი (შეფასება), მხედველობის ფუნქციური შეფასება და ექიმებისა და სხვა სპეციალისტების მიერ გასინჯვა. სკოლამდელ ასაკში, მხედველობის სირთულის აღმოჩენა ბევრი მშობლისთვის არის რთული, განსაკუთრებით თუ მხედველობის დაქვეითება არ არის ძლიერი. ეს უკავშირდება იმას, რომ ბავშვს არ უწევს მაგიდასთან მუშაობა (წერა, კითხვა და სხვ.). რაც უფრო მძიმეა შეზღუდვის ხარისხი, მით უფრო ადვილად ხდება მისი გამოვლენა ადრეულ ასაკში, მაშინ, როდესაც მხედველობის საშუალო სიმძიმის დაქვეითების იდეტიფიცირება არ

ხდება ბავშვის სკოლაში წასვლამდე. ძალიან ხშირად, მხედველობის სირთულე არ არის ვიზუალურად გამოხატული, შესაბამისად დიაგნოზის დასმა ხდება გვიან, რაც აფერხებს დროული სამკურნალო ღონისძიებების ჩატარებას (სათვალის მორგება, მედიკამენტების დანიშვნა და ა.შ.). ზოგ დაავადებას ახასიათებს მოულოდნელი დაწყება და სწრაფი პროგრესირება. ამიტომ, ოჯახი უნდა იყოს ძალიან ყურადღებიანი და შეამჩნიოს ბავშვის ქცევაში ცვლილებები, რომლებიც მიუთითებენ მხედველობის დაქვეითებაზე.

ესენია:

- ☀ ხშირი მოუწესრიგებლობა;
- ☀ ხელებით თვალების წვალება;
- ☀ საგნის დათვალიერებისას თავის ამომრავება მარჯვნივ-მარცხნივ, ზემოთ-ქვემოთ;
- ☀ თვალის ხშირი დახამხამება, ჭუტვა;
- ☀ თვალების ასიმეტრია - სტრაბიზმი (სიელმე);
- ☀ სინათლის მიმართ მაღალი მგრძობელობა;
- ☀ თვალის სიწითლე, შეშუპება ან ცრემლიანობა;
- ☀ თვალის კაკლის ნორმაზე დიდი ან პატარა ზომა;
- ☀ ჩავარდნილი თვალები;
- ☀ თვალების უჩვეულო, ბიძგისებრი მოძრაობა;
- ☀ საგანზე ფოკუსირების და თვალის კონტაქტის ნაკლებობა (ბავშვი არ გიყურებთ თვალებში ლაპარაკისას);

- ☀ უარის თქმა მაგიდასთან დავალებების შესრულებაზე (რვეულში ხატვა, წერა, კითხვა და ა.შ.)
- ☀ ხატვისას/წერისას უჩვეულო პოზის მიღება, ერთი თვალის უფრო ახლოს მიტანა;
- ☀ კითხვის დროს საკითხავი მასალის ახლოს ან შორს მიტანა (ნორმალური დისტანციაა 30-40 სმ.);
- ☀ შორს ან ძალიან ახლოს მდებარე საგნების ამოცნობის სირთულე (მაგ.: დაფიდან ტექსტის წაკითხვა);
- ☀ ტელევიზორთან ახლოს ჯდომა;
- ☀ თავის ტკივილები ან დისკომფორტი;
- ☀ საგნების ორად ხედვის ჩივილები;
- ☀ გარკვეულ ადგილას მდებარე საგნების იგნორირება, (მაგ.: ბავშვი ვერ ამჩნევს იმას რაც დევს მაგიდის მარჯვენა კუთხეში);
- ☀ კითხვის დროს ხაზის გამოტოვება;
- ☀ ფერების ამოცნობის, დაწყვილების სირთულე;
- ☀ თვალისა და ხელის სუსტი კოორდინაცია;
- ☀ შეჯახებები გადაადგილების დროს;
- ☀ ბნელი ადგილიდან სინათლეზე გასვლისას ძლიერი დისკომფორტი;
- ☀ სურათებზე თვალების თეთრი ანარეკლი.

თუ მშობელი შეამჩნევს ერთ ან რამდენიმე ნიშანს აუცილებელია მიმართოს ოფთალმოლოგს (თვალის ექიმს) რათა მოხდეს სწორი დიაგნოზის დასმა.

2.2. მხედველობითი დარღვევის დიაგნოზის დასაბ

მხედველობის შეზღუდვათა უმეტესობა დაბადებიდანვე ან პირველივე თვეებიდან ვლინდება. ზოგჯერ ამას სამშობიარო სახლის პედიატრი, ზოგჯერ კი თავად მშობლები აფიქსირებენ. არის შემთხვევები, როდესაც შეზღუდვა მკაფიოდ არ ვლინდება ბავშვის სკოლაში წასვლამდე, ან ვლინდება მხედველობის შემოწმების რუტინული პროცედურის დროს.

მას შემდეგ, რაც მშობელი შეამჩნევს უჩვეულო ნიშნებს ბავშვის ქცევაში და ივარაუდებს მხედველობის დაქვეითებაზე, მან უნდა მიმართოს შესაბამის სპეციალისტს: პედიატრს, ოფთალმოლოგს (დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ტაქტიკის შემუშავებისთვის) და ოპტომეტრისტს (დამხმარე ოპტიკური საშუალებების მორგებისთვის). სპეციალური ტესტებით, დანადგარებით და ხელსაწყოებით ისინი შეამოწმებენ ბავშვის მხედველობის სიმახვილეს, მხედველობით ველს, ფერთა აღქმას, თვალშიდა წნევას, თვალის კუნთთა მდგომარეობას, შეამოწმებენ ბადურისა და ბროლის მდგომარეობას. თუ ბავშვის ინტელექტუალური განვითარება არ გვადლევს იმის საშუალებას, რომ ბავშვმა გვითხრას დანახულის შესახებ, ექიმი ასევე იყენებს თავის ტვინის კომპიუტერით გამოკვლევის მეთოდებს.

აუცილებელია ბავშვის მომზადება ექიმთან ვიზიტისთვის და გაფრთხილება შესაძლო პროცედურებზე. მაგ.: ის, რომ ექიმი ჩახედავს ბავშვს თვალეში მაგრამ მას ამ დროს არაფერი ეტკინება. ვიზიტის დროს ექიმის მიერ მოწმდება:

☆ მხედველობის სიმახვილე. მისი შემოწმება ხდება უფრო ხშირად სნელენის (სხვადასხვა ზომის ასობგერების, ფიგურების ცხრილი) ტესტის გამოყენებით. ასევე სპეციალური დანადგარის მეშვეობით, სადაც ბავშვს უწევს ჩახედვა და მზერის ფოკუსირება.

☆ მხედველობითი ველი. ექიმი ადგენს თუ რამდენად კარგად ხედავს ბავშვი გვერდებში ანუ პერიფერიულად. ამისთვის იყენებენ სპეციალურ დანადგარს, სადაც ბავშვს უწევს ჩახედვა და ანთებული შუქების მდებარეობის აღწერა.

☆ ტონომეტრის მეშვეობით ექიმი სინჯავს თვალშიდა წნევას რათა დაადგინოს გლაუკომის არსებობა. პროცედურა არის უმტკივნეულო, მაგრამ იწვევს დისკომფორტს.

☆ ბროლის, მხედველობითი ნერვის და ბადურის მდგომარეობის შესამოწმებლად ექიმი იყენებს ოფთალმოსკოპს. წარმოადგენს დანადგარს გამადიდებელი შუშით და შუქით, რის მეშვეობითაც ექიმი აფასებს თვალს შიგნიდან.

თუ მხედველობის სიმახვილის გაზომვისას, სათვალე-ბით ბავშვი ხედავს სწელენის ტესტის მიხედვით მხოლოდ პირველ ხაზს, ის ითვლება უსინათლოდ. ასევე ბავშვი ითვლება უსინათლოდ, თუ კი ის კითხულობს ტესტის ზედა სამ ხაზს, მაგრამ აქვს მკვეთრად შევიწროებული მხედველობის ველი.

მას შემდეგ, რაც ექიმი შეამოწმებს მხედველობას ის ნიშნავს მხედველობის მკურნალობისთვის ან კორექციისთვის საჭირო პროცედურებს (მედიკამენტები, ოპერაცია და სხვა) და დამხმარე საშუალებებს (მაგ.: სათვალე). აუცილებელია მშობელმა რეგულარულად მიმართოს ექიმს, რათა მოხდეს დროული ჩარევა მხედველობის შესა-ნარჩუნებლად.

2.3. მხედველობის ფუნქციური შეფასება - რას ხედავს ბავშვი?

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებობს მხედველობითი დარღვევის გამომწვევი სხვადასხვა დიაგნოზი და დაავადება. სამედიცინო დიაგნოზი გვაძლევს წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ იქნება ბავშვის მხედველობა შეფერხებული. მაგ.: გლაუკომა მიუთითებს მხედველობის ველის შეზღუდვაზე, მიოპია - შორს მდებარე ობიექტების დანახვის სიმძნელებზე. მაგრამ დიაგნოზებით კატეგორიზაცია არ იძლევა მოსწავლის


შესაძლებლობების ზუსტი შეფასების საშუალებას: ერთი და იგივე დიაგნოზის მქონე ბავშვი შეიძლება სხვადასხვანაირად ხედავდეს და იყენებდეს მხედველობით ინფორმაციას. ზოგ ბავშვს საკმაოდ მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო პრობლემები ექმნება მხედველობის გაცილებით ნაკლები შეზღუდვის შემთხვევაში, როდესაც ზოგიერთი მათგანი სამედიცინო თვალსაზრისით გაცილებით სერიოზული შეზღუდვის დროს უკეთ ახერხებს ინფორმაციის მხედველობით აღქმას. მაგ.: მათთვის სათამაშო თოჯინას მიცემის შემთხვევაში, ერთი შეეცდება ხელების საშუალებით შეისწავლოს მისი ზედაპირი და მისი ცალკეული დეტალები, მაშინ, როდესაც მეორე ბავშვი იმავე მიზნით შეეცდება მაქსიმალურად გამოიყენოს ნარჩენი მხედველობა თოჯინას თვალთან ახლოს მიტანით. ასევე სხვა ბავშვმა შეიძლება გამოიყენოს ორივე ამ მეთოდის კომბინირება, ანუ შეაჯეროს ტაქტილური და ნარჩენი მხედველობის გამოყენებით მიღებული ინფორმაცია.


იმის აღსაწერად, თუ რას ხედავს ბავშვი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენება ტერმინი **ფუნქციური მხედველობა**. ბავშვის ფუნქციური მხედველობის შეფასება ხდება ორივე თვალზე ერთდროულად სხვადასხვა გარემოში. მაგ.: რას ხედავს ბავშვი დღისით/ღამით ქუჩაში გადაადგილებისას? რას ხედავს ბავშვი ოთახში ხელოვნური განათების პირობებში? შეფასება ხდება ბავშვის


ქცევაზე დაკვირვებით და მასთან გასაუბრებით. ბევრი მშობელი მრავალჯერადი დაკვირვებით თავისით ადგენს იმას, თუ რას ხედავს მისი ბავშვი.

ბავშვი ყველაზე აქტიურია თამაშისას. ამ დროს ნათელი ხდება როგორია ბავშვის ვიზუალური აღქმა. ვიზუალური აღქმა გულისხმობს: ვიზუალურ დისკრიმინაციას, ფორმების აღქმას, ვიზუალურ მეხსიერებას, ფიგურის და ფონის აღქმას, თვალისა და ხელის კოორდინაციას, მოძრაობის იმიტაციას, ვიზუალური დასრულების უნარს და ვიზუალურ თანმიმდევრობას.

ვიზუალური დისკრიმინაცია (გარჩევა), გვამღევს საშუალებას ამოვიცნოთ სახეები, საგნები, სურათები, ასოები და ციფრები. სპეციალისტი ამოწმებს შეუძლია თუ არა ბავშვს საგნების დაწყვილება ფერების, ფორმების მიხედვით; აწყვილებს თუ არა ერთნაირ ნივთს სხვადასხვა სურათზე (ყველა იმ სურათის მოძებნა, სადაც ვაშლი ხატია); ასო-ბგერების და ციფრების ამოცნობა სურათების გროვიდან. მშობელს მარტივად შეუძლია ბავშვის ვიზუალური დისკრიმინაციის უნარის შეფასება შემდეგი პარამეტრებით:


 ცნობს თუ არა ბავშვი ნაცნობ ადამიანებს ვიზუალურად? (სანამ ბებია, ბაბუა და სხვა. ამოიღებს ხმას, ცნობს თუ არა მათ ბავშვი?)


 ამჩნევს გარემოში არსებულ საკუთარ ნივთებს? მაგ.: საკუთარი დასალევი ჭიქისკენ წვდომა

 აწყვილებს თუ არა ბავშვი საკუთარ წინდებს?

ვიზუალური მეხსიერების შემდგომი ვიზუალური საგნებს მთლიანად თავისი კომპონენტებით. მაგ.: თუ დავინახავთ თოჯინას ხელს, მივხვდებით რომ ეს ხელი თოჯინას ნაწილია და არა ცალკეული სათამაშო. ის გვამღევს საშუალებას ამოვიცნოთ ნაცნობი სურათები, საგნების დაკარგული ნაწილები, საკუთარი თავი, დავიმახსოვროთ ანბანი და ციფრები. მშობელს შეუძლია ბავშვის ვიზუალური მეხსიერების უნარის შეფასება შემდეგი პარამეტრებით:

 ეძებს თუ არა ბავშვი ნაცნობ სათამაშოს?


 ცნობს თუ არა ბავშვი საკუთარ ტანსაცმელს ვიზუალურად?


 შეუძლია თუ არა ბავშვს საკუთარი თავის ამოცნობა სურათზე?


 ცნობს თუ არა ბავშვი ასო-ბგერებს, ციფრებს?

ფიგურის და ფონის აღქმა გვეხმარება ნახევრად დამალული საგნის მოძებნაში. მაგ.: წიგნების თაროზე სპეციფიკური წიგნის ამოცნობა ყდით, დამალული ობიექტების პოვნა (ნაჭრის ქვეშ დამალული ნივთი), სურათზე გამოსახული მოქმედების ამოცნობა, მარტივი


ვაზღების აწყობა. მშობელს მარტივად შეუძლია ბავშვის ფიგურისა და ფონის გარჩევის უნარის შეფასება შემდეგი პარამეტრებით:


 ცნობს თუ არა ბავშვი ფერად ჟურნალზე მოთავსებულ საკუთარ სათამაშოს?


 იღებს თუ არა ბავშვი სათამაშოების ყუთიდან კონკრეტულ სათამაშოს? მაგ.: სთხოვეთ ბავშვს ამოიღოს ყუთიდან დათვი.


 ცნობს თუ არა ბავშვი საკუთარ კბილის ჯაგრისს რომელიც დევს სხვა ჯაგრისებთან ერთად საერთო ჭიქაში?


თვალისა და ხელის კოორდინაცია, ასევე ცნობილი როგორც ვიზუალურ-მოტორული უნარი, გვეხმარება წვრილი მოტორული მოქმედებების შესრულებაში როგორცაა ხატვა, ძერწვა, წერა, ბოთლის თავსახურის გახსნა და სხვა. თვალისა და ხელის კოორდინაციის შეფასებისთვის დააკვირდით რუტინულ აქტივობებს:


 აფერადებს თუ არა ბავშვი გასაფერადებლებს კონტურების დაცვით?

 შეუძლია თუ არა მარტივი ფიგურების ამოჭრა მაკრატლით?


 ახერხებს თუ არა ბავშვი მარტივი სურათების და ფორმების გადახატვას?

 აკოპირებს ბავშვი ასოებს და ციფრებს?


 ჭამს თუ არა ბავშვი კოვზით დამოუკიდებლად და სვამს თუ არა წყალს ჭიქიდან დამოუკიდებლად?

 პოულობს თუ არა ბავშვი დავარდნილ საგანს?

მოდრაობის იმიტაციის უნარი გვამძლევს საშუალებას გავიმეოროთ როგორც სხეულის სპეციფიკური მოძრაობები (მაგ.: ფიზიკური ვარჯიშები) ასევე, სახის მიმიკა და სხეულის შესტები. ადამიანი მოქმედებებს სწავლობს ვიზუალური იმიტაციით. ეს უნარი მნიშვნელოვანია თითქმის ყველა მოტორული აქტის სწავლის დროს (ცეკვა, პიანინოზე დაკვრა, ხატვა, და ა.შ.). ამ უნარის გამოყენებით ბავშვს შეუძლია სწორი და დაკლაკნილი ხაზების, ასოების და ფორმების კოპირება. იმისათვის, რომ შევაფასოთ ბავშვის მოძრაობის იმიტაციის უნარი დააკვირდით:


 იყენებს თუ არა ბავშვი საუბრისას ოფიციალურ შესტებს? (თავის დაქნევა, მხრების ამოწევა და ა.შ.)


 პასუხობს ბავშვი ღიმილით თქვენს ღიმილზე?


 ასრულებს თუ არა ბავშვი მარტივი მოქმედების გამეორებას? მაგ.: თუ თქვენ მოიფხანთ თავს ის გააკეთებს იგივეს?


ვიზუალური დასრულების უნარი გულისხმობს ისეთი ობიექტის აღქმას, რომელიც არ არის დასრულებული

ან აკლია ნაწილები. ამ დროს ბავშვს შეუძლია მარტივი ფაზლების აწყობა, პუნქტირით ან წერტილებით დახატული საგნების ამოცნობა და სიტყვაში გამოტოვებული ასოების ამოცნობა. მშობელს მარტივად შეუძლია ბავშვის ვიზუალური დასრულების უნარის შეფასება შემდეგი პარამეტრებით:


 ცნობს თუ არა ბავშვი საკუთარ ტანსაცმელს მისი მხოლოდ პატარა ნაწილის დანახვისას?


 ცნობს თუ არა ბავშვი ადამიანს, რომელიც ნახევრად ჩანს? მაგ.: დაინახა მხოლოდ ფეხები?

 ამოიცნობს თუ არა ბავშვი ადამიანს სურათზე, თუ კი ის ნახევრად არის გამოსახული სურათზე?

 შეუძლია ბავშვს საგნების დაჯგუფება ფუნქციით: ბოთლი-თავსახური, ფანქარი-საშლელი და ა.შ.?

ვიზუალური თანმიმდევრობის უნარი გვეხმარება საგნები დავაწყოთ ზრდისა და კლების მიხედვით. ამ დროს ბავშვს შეუძლია საგნების განთავსება ზომის მიხედვით, ასოების განთავსება ანბანის მიხედვით, ციფრების განლაგება რიგობრივად, ერთი ამბის ამსახველი სურათების განლაგება ისე, რომ შეიძლებოდეს ამბის მოყოლა, ასოების განლაგება ისე, რომ გამოვიდეს სიტყვა. დააკვირდით:

 შეძლებს თუ არა ბავშვი საკუთარი სურათების განლაგებას ქრონოლოგიურად?

 წერს თუ არა ბავშვი საკუთარ სახელს? ამ დროს შეუძლია გამოიყენოს მზა ასოები.

კონკრეტული დავალების შესრულებისას, როგორც წესი, ბავშვი იყენებს ვიზუალური აღქმის რამდენიმე კომპონენტს. მაგ.: სიტყვის დაწერისას ბავშვი იყენებს ვიზუალურ მეხსიერებას, ვიზუალურ თანმიმდევრობას, თვალისა და ხელის კოორდინაციას, და მოტორულ იმიტაციას.

ვიზუალური აღქმის შეფასების გარდა ფუნქციური მხედველობის შეფასებაში შედის სხვადასხვა კომპონენტი. სპეციალისტი აკვირდება თუ რა ზომის, ფორმის და ფერის საგნებს ხედავს ბავშვი მაგიდაზე. აფასებს იმას, თუ რა ზომის შრიფტს საჭიროებს ბავშვი წასაკითხად. თუ ბავშვს აქვს შემცირებული მხედველობითი ველი, სპეციალისტი ალაგებს ნივთებს მაგიდაზე და აკვირდება რა ნივთებს შეამჩნევს ბავშვი. შემდეგ ხდება ოთახში შორს მდებარე საგნების ამოცნობა (მითხარი ყველაზე მაღალ თაროზე რა სათამაშო დევს?).

მას შემდეგ, რაც სპეციალისტს შეეჭმნება წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას ხედავს ბავშვი შენობის შიგნით, ისინი გადიან გარეთ და აფასებენ რა ბარიერებს აღიქვამს ბავშვი სხვადასხვა ამინდის დროს დღის სხვადასხვა მონაკვეთში.

მას შემდეგ, რაც დადგინდება მოსწავლის ფუნქციური მხედველობა შესაძლებელია ყველა სახის სასწავლო მასალის მორგება მის საჭიროებებზე. მაგ.: საჭიროებს თუ არა ბავშვი ბრაილის შრიფტით სარგებლობას. ასევე დგინდება დამხმარე საშუალებების გამოყენების საჭიროება.

თავი 3.

როგორ ეხმარებიან სპეციალისტები მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს?

ამ თავში აღწერილია მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვთან სპეციალისტების მუშაობის საჭიროება და სპეციფიკა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, განხორციელება და მშობლის როლი ამ პროცესში.

3.1. სპეციალისტები და მათი ფუნქცია-მოვალეობები ბავშვთან მუშაობის პროცესში

ყველა მშობელი მოუთმენლად ელის ბავშვის პირველ წარმატებულ ნაბიჯებს: პირველი თვალის კონტაქტი, პირველი სიტყვა, გადადგმული ნაბიჯები და სხვა. ისინი ყურადღებით აკვირდებიან ბავშვს და ხანდახან უჩნდებათ ეჭვი ბავშვის განვითარების შეფერხებაზე. ამ დროს მიმართავენ სპეციალისტებს დასახმარებლად. სპეციალისტები ეხმარებიან მშობლებს პრობლემების დადგენაში, თუ რა იწვევს მათი ბავშვების განვითარების შეფერხებას. ამის მიზეზი შეიძლება იყოს მხედველობითი დარღვევა. მნიშვნელოვანია, სპეციალისტების ჩართულობა რაც შეიძლება ადრე, რათა მაქსიმალურად მოხდეს ბავშვის განვითარების ხელ-

შეწყობა. სპეციალისტის ჩართულობა ხდება იმის მერე, რაც დადგინდება რაიმე სახის პრობლემა, იქნება ეს მხედველობის გართულება თუ სკოლაში სწავლის სირთულეები. ბავშვს, მხედველობითი დარღვევის გარდა შეიძლება ასევე ჰქონდეს სხვა დიაგნოზები, ამიტომ სპეციალისტების საჭიროება იცვლება ინდივიდუალური მოთხოვნილებების მიხედვით. მაგრამ ოკუპაციური თერაპევტის, ფსიქოლოგის, ოფთალმოლოგისა და ოპტომეტრისტის, ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტის და სპეციალური განათლების პედაგოგის სერვისს საჭიროებს ყველა მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვი განურჩევლად იმისა, თუ როდის მოხდა მხედველობის დაქვეითება. ამ დარგის სპეციალისტები მუშაობენ როგორც კერძოდ ასევე სხვადასხვა კლინიკაში, დღის ცენტრში, სკოლაში. ჩვილობის ასაკში მშობელს შეუძლია ჩაერთოს განვითარების ადრეული ხელშეწყობის პროგრამაში, სადაც მიიღებს ყველა საჭირო სპეციალისტის მომსახურებას. ასევე, 2 წლიდან, პარალელურად, შეიძლება ბავშვის ტარება საბავშვო ბაღში, სადაც მას ექნება თანატოლებთან კომუნიკაციის საშუალება. 6-7 წლიდან ბავშვი მიდის სკოლაში და ასევე შეუძლია ისარგებლოს სპეციალისტების სერვისით.

ოკუპაციური თერაპევტი

ოკუპაციური თერაპიის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობების მიუხედავად, ადამიანის ჩართულობა მიზანმიმართულ საქმიანობებში რათა მან შეძლოს დამოუკიდებლად ცხოვრება, მუშაობა, სხვაზე ზრუნვა, გართობა და დასვენება. ოკუპაციური თერაპევტი ეხმარება მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვს ისწავლოს, ითამაშოს, გაერთოს, განვითარდეს სხვა დანარჩენი ბავშვებზე. მნიშვნელოვანია ბავშვმა შეძლოს საკუთარი თავის მოვლა და სისუფთავეზე ზრუნვა. ოკუპაციური თერაპევტი ხელს უწყობს ბავშვის ყველა უნარის განვითარებას (შეხება, სმენა, ყნოსვა, წვრილი და მსხვილი მოტორიკა და სხვა) რათა მან შეძლოს საზოგადოებაში დამოუკიდებლად და სრულყოფილად ცხოვრება. მუშაობის სპეციფიკა და მიზნების შერჩევა ხდება ბავშვის ასაკის გათვალისწინებით, მშობლების და ბავშვის სურვილების გათვალისწინებით.

ჩვილობის ასაკში მნიშვნელოვანია ბავშვმა მაქსიმალურად შეძლოს სამყაროს შეცნობა თამაშის გზით, რათა მიიღოს ინფორმაცია საგნებისა და მოვლენების შესახებ. ოკუპაციური თერაპევტი ცდილობს ამისთვის შექმნას უსაფრთხო გარემო და შეარჩოს სპეციფიკური

სათამაშოები, რათა ბავშვს გაუჩნდეს თამაშის სურვილი. თუ ბავშვს ასევე აღენიშნება ჩამორჩენა მოტორულ განვითარებაში, ბავშვის დამოუკიდებელი გადაადგილებისთვის ოკუპაციური თერაპევტი იყენებს ვარჯიშებს და დამხმარე საშუალებებს.

როდესაც ბავშვი დადის ბაღში ოკუპაციური თერაპევტის მიზანია მაქსიმალურად ჩართოს ის ბაღის აქტივობებში. ისინი სწავლობენ ბაღში წასასვლელად მომზადებას დამოუკიდებლად (დილით ჰიგიენური პროცედურები, საუზმე, ჩაცმა და ა.შ.), ბაღში ფუნქციონირებას (ჭამა, ტუალეტის ჩვევები, ხელების დაბანა, ტანსაცმლის გამოცვლა-შენახვა, ჯგუფური და ინდივიდუალური თამაშები, და ა.შ.) და სახლში რუტინული საქმიანობების შესრულებას. ოკუპაციური თერაპევტი ასევე მუშაობს იმ უნარის განვითარებაზე, რომელიც შეფერხებულია მხედველობის დაქვეითების გამო. მაგ.: იმის გამო, რომ ბავშვი ვერ ხედავს მას არა აქვს მსხვილი მოტორიკის განვითარების საშუალება თამაშით, როგორცაა მაგ.: ფეხბურთი, სირბილი, ცოცვა და სხვა.

სასკოლო ასაკში ოკუპაციური თერაპევტი და ბავშვი იწყებენ დამოუკიდებელ ცხოვრებაზე მუშაობას (მაღაზიაში საყიდლები, საჭმლის მომზადება, ფულის ამოცნობა და სხვ.) თავისუფალი დროის გატარების დაგეგმვას (კომპიუტერის ხმარება, ხატვა, ძერწვა, ინსტრუმენტებზე

დაკვრა, ჯგუფური თამაშები სხვა ბავშვებთან), სწავლის და დამოუკიდებელი მეცადინეობის ხელშეწყობას, პროფესიის და ხელობის დაუფლების დაგეგმვას. ოკუპაციური თერაპევტის მიზანია მოხდეს ბავშვის რესურსების მაქსიმალური გამოყენება რათა ის იყოს საზოგადოების აქტიური წევრი და სხვა ბავშვებთან ერთად შეძლოს ხარისხიანი განათლების მიღება.

ფსიქოლოგი

სპეციალური ტესტების მეშვეობით ფსიქოლოგი ახდენს მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვის უნარების შეფასებას, რათა დადგინდეს აქვს თუ არა ბავშვს ჩამორჩენა განვითარებაში. ჩამორჩენის შემთხვევაში ხდება თითოეული სფეროს დეტალური შეფასება. ესენია: კოგნიტური განვითარება, მეტყველება და კომუნიკაცია, მსხვილი და ნატიფი მოტორიკა, სოციალურ-ემოციური განვითარება.

კოგნიტური უნარების საშუალებით ბავშვი ფიქრობს, კითხულობს, სწავლობს, იმახსოვრებს, ახდენს ყურადღების მობილიზაციას, რათა მიიღოს ცოდნა, რომელსაც გამოიყენებს ყოველდღიურობაში, სკოლაში სწავლის და თამაშის დროს. კოგნიტური განვითარების შეფასების ტესტების უმრავლესობა არის აგებული ვიზუალურ უნარებზე, მაგ.: ვიზუალური დისკრიმინაციის დროს

საგნების დაწყვილება ფორმის, ფერების მიხედვით. ამ დავალების შესრულება იქნება შეუძლებელი უსინათლო ბავშვისთვის, თუმცა მასალის ადაპტირებით (არა სურათების, არამედ საგნების გამოყენება) შესაძლებელია ბავშვის კოგნიტური უნარების შეფასება. შეფასების შემდეგ, მშობლებთან ერთობლივი ძალისხმევით ფსიქოლოგი მუშაობს ბავშვის უნარების განვითარებაზე.

ძალიან ხშირად, მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს აქვს დაბალი თვითშეფასება ან განიცდის თავის მდგომარეობას. მას შეიძლება ჰქონდეს ქცევითი პრობლემები (მაგ.: მიზნის მისაღწევად ბავშვი ტირის) ან თვითსტიმულაციური ქცევები (მაგ.: ბავშვი ემოციურ აგზნებისას გამოხატავს ხელების ქნევით და ქანაობით). ამ დროს ის ასევე საჭიროებს ფსიქოლოგის დახმარებას.

ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი

ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი ასწავლის მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს, როგორ გადაადგილდეს უსაფრთხოდ და დამოუკიდებლად შენობაში და მის გარეთ. ამ უნარების განვითარება ეხმარება ბავშვს საკუთარი სხეულისა და გარემო მდებარე სივრცის აღქმაში. ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი ასწავლის ბავშვს:

- ორიენტირებას საკუთარ სხეულში (სხეულის ნაწილების მდებარეობა და მათი ფუნქციები, სხეულის გაყოფა მარჯვენა/მარცხენა, ზედა/ქვედა ნაწილებზე)
- დროში ორიენტაციას (წელიწადის დროები, თვეები, კვირის დღეები, საათები, წარსული, ახლანდელი, მომავალი და ა.შ.)
- სამუშაო მაგიდაზე ორიენტირებას (მაგიდაზე ნივთების განლაგების და პოვნის პრინციპი)
- გადაადგილებას შენობაში (ოთახში, დერეფანში, სართულს შორის)
- გადაადგილებას გარეთ (ქუჩაში, ტრანსპორტის სარგებლობა, ქუჩების გადაკვეთა)
- სავაჭრო ცენტრებში, სადგურის მოედანზე და სხვა დიდ ობიექტებზე ორიენტირებას.

მუშაობისას სპეციალისტი ასწავლის ბავშვს **თეთრი ხელჯობის** სანავიგაციო სისტემების, ტაქტილური რუკების და მაკეტების გამოყენებას. ასაკით პატარა ბავშვთან ხდება საბაზისო ცნებების სწავლება, როგორცაა: საგნის ფორმები, ფაქტურები, ტემპერატურა, მდებარეობა. სპეციალისტი ასწავლის მას ყველა ინფორმაციის (სმენითი, შეხებითი, ყნოსვით და სხვ.) და ნარჩენი მხედველობის გამოყენებას გადაადგილებისას, ახალი გარემოს შესწავლის მეთოდებს, ავეჯის ეფექტურ განლაგებას. ამ დროს დიდი ყურადღება ენიჭება გარემოს

უსაფრთხოებას (მაგ.: სპეციალური დამცავი რბილი კუთხეების დამაგრებას ავეჯის კუთხეებზე).

ძალიან ხშირად მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს არა აქვს წარმოდგენა სამყაროს შესახებ. მაგ.: იცის, რომ მისი ოთახი ოთხკუთხედაა, მაგრამ არ იცის მისი მდებარეობა ბინაში, შენობაში; ხშირად, ვერ ხვდება ქუჩაში გზების მოხაზულობის სტრუქტურას, მანქანების მოძრაობის წესებს. ორიენტაციისა და მობილობის სპეციალისტი მაკეტების და რუკების მეშვეობით აწვდის ბავშვს ამ ინფორმაციას.

ოფთალმოლოგი და ოპტომეტრისტი

ეს ორი პროფესია ეკუთვნის სამედიცინო სფეროს. ოფთალმოლოგი არის ექიმი, რომელსაც შეუძლია მხედველობის შემოწმება, მკურნალობა მედიკამენტებით და საჭიროების შემთხვევაში ოპერაციის ჩატარება. ასევე მას შეუძლია მხედველობის კორექციისთვის სათვალის და საკონტაქტო ლინზების მორგება. ოპტომეტრისტი უმეტესად აფასებს მხედველობას სპეციალური ტესტების საშუალებით, შეუძლია სათვალის და საკონტაქტო ლინზების მორგება და სამკურნალო წვეთების დანიშვნა. ასევე ის ახდენს დამხმარე საშუალებების შერჩევას და მორგებას პაციენტის საჭიროებებიდან გამომდინარე (მაგ.: გამადიდებელი ეკრანისა და გამადიდებელი შუშების მორგება).

მშობელმა უნდა მიმართოს შესაბამის სპეციალისტს ჩივილებიდან გამომდინარე. თუ ბავშვს აღენიშნება მხედველობის სიმახვილის დაქვეითება და ის საჭიროებს დამხმარე საშუალებების მოხმარებას მიმართეთ ოპტომეტრისტს. მაგრამ თუ ბავშვს აღენიშნება თავის ტკივილები, მხედველობის გაუარესება და მხედველობის ველის შევიწროება საჭიროა ოფთალმოლოგთან ვიზიტი, რათა მოხდეს მხედველობის სრული გამოკვლევა. სასურველია ბავშვის მხედველობის შემოწმება წელიწადში ორჯერ.

სპეციალური განათლების პედაგოგი

მოსწავლეები სკოლაში სწავლობენ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. მასში განსაზღვრულია თითოეული კლასის ან საფეხურის მიზნები და მისაღწევი აკადემიური შედეგები. ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს, მოდიფიცირებულ სასწავლო გეგმებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ზოგადი განათლების საფეხურების მიხედვით განისაზღვრება აუცილებელი საგნები, საგნობრივი ჯგუფები, სასწავლო საათების რაოდენობა, მათი დანაწილება და თანაფარდობა. ასევე, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობები და რეკომენდაციები.

მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლე საჭიროებს ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებას. მისი საჭიროებებიდან გამომდინარე იწერება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. მოსწავლე შეიძლება საჭიროებდეს დაბეჭდილი შრიფტის ჩანაცვლებას ბრაილის შრიფტით, სიმბოლოების გადიდებას, ჩამწერი მოწყობილობების გამოყენებას, სწავლისთვის განსხვავებულ მასალას (მაგ.: სურათების მაგივრად მაკეტები) და სხვა ცვლილებას. სპეციალური განათლების პედაგოგი ფლობს ამ ინფორმაციას და სკოლის გუნდთან ერთად მონაწილეობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში. ის ასევე მუშაობს ინდივიდუალურად ბავშვთან რათა ასწავლოს დამატებითი უნარები, როგორცაა ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა. სპეციალური განათლების პედაგოგი ასევე ეხმარება საგნის მასწავლებელს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაში. მაგ.: ბრაილის შრიფტით წერა-კითხვა საჭიროებს უფრო მეტ დროს, ვიდრე კალმისტრით წერა. ეს უნდა გაითვალისწინოს საგნის მასწავლებელმა საკონტროლო ტესტირებისას.

სხვა სპეციალისტები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს შეიძლება ასევე ჰქონდეს სხვა სირთულეები, როგორცაა მეტყველების შეფერხება, განვითარების ჩამორჩენა, სმენის დარღვევა, ფიზიკური შეზღუდვები და სხვ. აქედან გამომდინარე ბავშვს შეიძლება დამატებით დასჭირდეს მეტყველებისა და კომუნიკაციის თერაპევტი (მეტყველების გაუმჯობესების მიზნით), ფიზიოთერაპევტი (ვარჯიშები და მასაჟი კუნთების გაძლიერებისთვის) და სხვა სპეციალისტი.

3.2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა სკოლაში

მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვს შეუძლია განათლების მიღება რესურს სკოლაში ან საჯარო სკოლაში. **ინკლუზიური განათლება** - თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესია, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

ინკლუზიური განათლება - გულისხმობს ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოს-

წავლევების ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად. ინკლუზიური განათლება ასევე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების, მათ შორის მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეების, ინდივიდუალური ან/და მოდიციფირებული სასწავლო გეგმით სწავლებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა მოიცავდეს მოსწავლისთვის ადეკვატურ, ფუნქციურ და ასაკისთვის შესაბამის მიზნებს. ამასთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა, რომელიც ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაშია წარმოდგენილი შესაბამისობაში მოდიოდეს საკლასო აქტივობებთან, რუტინასთან, ინსტრუქციებთან და პირიქით. საკლასო პროგრამა და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა უნდა იყოს ურთიერთშეთანხმებული და ურთიერთმორგებული.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიცირებული ვარიანტი, რომელიც დაეხმარება მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს განათლების მიღებაში. ყოველ წელს იწერება გრძელვადიანი მიზნები. მაგ.: გრძელვადიანი მიზანი: „მოსწავლე წერს და კითხულობს ბრაილის შრიფტით სპეციალური ხელსაწყოების გამოყენებით“. ამ მიზნის მისაღწევად იგეგმება მოკლევადიანი მიზნები, მაგ.: „მოსწავლემ იცის ბრაილის დაფა-ფანქრის გამოყენება; მოსწავლემ იცის 10 ასო-ბგერა“ და ა.შ.

ისგ-ს (ინდივიდუალური სასწავლო გეგმა) შექმნაში მონაწილეობს ბევრი სპეციალისტი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის ბავშვს. როგორც წესი, გეგმის შედგენა იწყება მოსწავლის უნარების შეფასებით, მასზე დაკვირვებით და ნდობის მოპოვებით. მასწავლებელი აკვირდება იმას, თუ როგორ ერთვება ბავშვი გაკვეთილის პროცესში, რა ცოდნას ფლობს ის უკვე. შემდეგ ხდება ბავშვის უნარების შეფასება (კოგნიტური განვითარება, მეტყველება, მეხსიერება და ა.შ.) და ამ შეფასების შედეგების და მშობლების პრიორიტეტების გათვალისწინებით ხდება ინდივიდუალური სასწავლო მიზნების დასახვა. მიზნები შეიძლება ვარიირებდეს უბრალო მორგებიდან (შრიფტის შეცვლა) მიზნის გამარტივებამდე (მთლიანი ანბანის მაგივრად მხოლოდ 3 ასო-ბგერის დაწერა) ბავშვის რესურსებიდან გამომდინარე. ისგ-ში იწერება ყველა მომუშავე სპეციალისტის გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები, რომელიც არის გაწერილი დროში.

3.3. მშობლის როლი ინდივიდუალური გეგმის შედგენასა და განხორციელებაში

მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლის მშობელი არის უმნიშვნელოვანესი ფიგურა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცესში. მშობელი სკოლის გუნდს უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი ინფორმაციით მოსწავლის შესახებ: მისი დაავადების ისტორია, ბავშვის ცხოვრების წესი, ინტერესები, სურვილები, საჭიროებები, რესურსები, სწავლის მიდგომები, წახალისების მეთოდები და ა.შ.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნების დასახვაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშობლის საგანმანათლებლო სურვილებს, რა მოლოდინი აქვს მშობელს წლის განმავლობაში. მაგ.: მშობლის სურვილია ბავშვმა ისწავლოს წერა-კითხვა, ანგარიში, თხრობა და დამოუკიდებელი გადაადგილება სკოლის ტერიტორიაზე.

როდესაც მულტიდისციპლინური გუნდი აფასებს მოსწავლის უნარებს, ძლიერ და სუსტ მხარეებს, მშობელს შეუძლია სპეციალისტების უზრუნველყოფა დამატებითი ინფორმაციით. მაგ.: რამდენად დამოუკიდებელია ბავშვი სახლში, როგორ მეცადინეობს და ა.შ. ასევე მშობელმა ყველაზე უკეთ იცის, რა წახალისების გამოყენება შეუძლია მასწავლებელს ბავშვთან მუშაობისას.

როგორც წესი, მშობელი ესწრება ყველა იმ შეხვედრას, რომელიც ეხება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნას და გადაფასებას. ხდება მშობლის ინფორმირება იმაზე თუ რას ისწავლის ბავშვი, სად, ვინ ასწავლის, რა სიხშირით, რა მასალების გამოყენებით და ა.შ.

მას შემდეგ, რაც დასახული იქნება ყველა სასწავლო მიზანი, მშობელი აქტიურად თანამშრომლობს მასწავლებლებთან განხორციელების პროცესში. მაგ.: მასწავლებელს შეიძლება დასჭირდეს ადაპტირებული მასალა, რის გაკეთებაც შეუძლია მშობელს სახლში მოსწავლესთან ერთად. ასევე მშობელი და მოსწავლე ასრულებენ მასწავლებლის მიერ მოცემულ ყველა დავალებას.

მშობელი აქტიურად არის ჩართული არა მხოლოდ სასწავლო მიზნების და აქტივობების განხორციელებაში, არამედ მუდმივად აკვირდება ითვისებს თუ არა ბავშვი მიწოდებულ ინფორმაციას. მაგ.: ბავშვმა დასახულ მიზანს მიაღწია უფრო სწრაფად, ვიდრე მასწავლებელმა დაგეგმა. მშობელი და მასწავლებელი ერთობლივად იწყებენ შემდეგი მიზნების დაგეგმვას.

თავი 4.

მხედველობითი დარღვევის მეორე მოსწავლის განათლება

მოცემულ თავში განხილულია მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებები, წერა-კითხვის დაუფლების სპეციფიკა; კეთდება აქცენტი მოსწავლის დამოუკიდებლობის ხელშეწყობაზე თვითმოვლის და სივრცითი ორიენტაციის სფეროებში. აღწერილია დამხმარე საშუალებები და გარემოს მორგების ელემენტები.

4.1. მოსწავლის გონებრივი და მოტორული განვითარების ხელშეწყობა

მას შემდეგ, რაც ოჯახისთვის ცნობილი ხდება ბავშვის მხედველობის მდგომარეობა მათ უჩნდებათ კითხვა: „როგორ დავეხმაროთ ბავშვს რათა მაქსიმალურად განვავითაროთ მისი შესაძლებლობები?“. ამისთვის ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებელია გარკვეული ცვლილებების შეტანა, სპეციალისტების რეკომენდაციების მუდმივი გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის ყველა წევრი მოქმედებდეს ურთიერთშეთანხმებულად.

ძალიან ხშირად, მოსწავლეს სკოლაში შესვლისას უკვე აღენიშნება ჩამორჩენა განვითარების გარკვეულ სფეროში. ზოგ ბავშვს უჭირს მეტყველება, აქვს მწირი სიტყვათა მარაგი, აწუხებს ნორმაზე მაღალი ან დაბალი წონა, აქვს განუვითარებელი თვითმოვლის და სივრცეში ორიენტაციის უნარები, არასაკმარისად იყენებს შეხებით, სმენით და ყნოსვით ინფორმაციას და აქვს ბევრი სხვა მდგომარეობა. მნიშვნელოვანია, ბავშვის განვითარებაზე მუშაობა იმ მომენტიდან, როდესაც მას დაეწყო მხედველობის გაუარესება, ხშირად დაბადების პირველი დღეებიდან.

მეტყველების და გონებრივი განვითარების ხელშეწყობა.

ბევრ მშობელს ჰგონია, რომ მეტყველება ვითარდება ბავშვთან უწყვეტად ლაპარაკის შედეგად. მექანიკური ლაპარაკის დროს სიტყვების დამახსოვრება ხდება ავტომატურად და გაურკვეველი რჩება სიტყვის მნიშვნელობა. ამიტომ ბავშვთან საუბრისას ყოველთვის აუხსენით ბავშვს სიტყვის ან ზმნის მნიშვნელობა, შედარებებით, საგანზე ხელის მოკიდებით, ფუნქციის ჩვენებით. მაგ.: როდესაც საუბრობთ მანქანაზე, მიეცით ბავშვს მანქანის პატარა მოდელი, სათამაშო, რათა მან შეისწავლოს მისი ფორმა და ნაწილები. აუხსენით რა ფუნქციას ასრულებენ ბორბლები მანქანის გაგორებით.

შემდეგ დააჯინეთ ბავშვი ნამდვილ მანქანაში და მიეცით ხელებით შეხების საშუალება: საჭე, მუხრუჭები, სარკეები, ბორბლები, შიგნით არსებული ძრავა, მილი და ა.შ. (თუ ზოგ ადგილებში შეხება არ არის უსაფრთხო, აჩვენეთ ეს ნაწილი სათამაშოზე); აუხსენით თითოეული ნივთის ფუნქცია, მაგ.: ღვედი არის უსაფრთხოებისთვის, დამუხრუჭებისას ის აფიქსირებს სხეულს და ა.შ.; ქუჩაში სეირნობისას დააკვირდით სხვადასხვა მანქანის ხმას. დიდი მანქანები უფრო ძლიერ ხმას გადმოსცემენ, პატარები უფრო სუსტს. ასწავლეთ ბავშვს მათი სახეობები და ერთმანეთისგან გარჩევა. ასე, ბავშვს შეეძლება ზუსტი წარმოდგენა საგნებისა და მოვლენების შესახებ.

ხშირად, ბავშვებს აქვთ ენისა და მეტყველების განვითარების სპეციფიკური პრობლემები როგორცაა ექოლალიები (სიტყვების და ფრაზების ხშირი განმეორება), ან შეიძლება ბავშვი საერთოდ არ მეტყველებდეს და არ ესმოდეს მიზანმიმართული მეტყველება (ექსპრესიული და იმპრესიული ენის დარღვევა). ამ დროს აუცილებელია მეტყველებისა და კომუნიკაციის თერაპევტის სერვისით სარგებლობა.

ბავშვი, ვითარდება გონებრივად თამაშის დროს. სამწუხაროდ, ბევრი სათამაშო არის შექმნილი იმ მიზნით, რომ ბავშვმა განავითაროს ვიზუალური უნარები. მათი

ადაპტირებით შეიძლება გავხადოთ ისინი საინტერესო მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვისთვის. სათამაშოების შერჩევის დროს მშობელმა უნდა დახუჭოს თვალები და ასე შეაფასოს მოეწონება ეს სათამაშო ბავშვს თუ არა, რა უნარებს განავითარებს ის ბავშვში და რამდენად უსაფრთხოა ის ხმარებაში. სათამაშოები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვის გონებრივ განვითარებას:

- ფაზლები, რომლებიც საჭიროებენ ერთნაირი ფიგურების/ფორმების დაწყვილებას;
- ასაწყობი პირამიდები რომლებიც ეხმარებიან ბავშვს ზომის აღქმაში;
- ხმოვანი სათამაშოები (ხმოვანი ბურთი, ხმოვანი კასრები (ერთნაირი ხმის კასრების დაჯგუფება), ხმოვანი წიგნები (ცხოველების, მანქანის ხმის იმიტირება);
- სხვადასხვა ფაქტურის მქონე ნივთების დაწყვილება (ლოტო სხვადასხვა ნაჭრებისგან);
- ლეგოები და ასაწყობი კონსტრუქტორები (სხვადასხვა ფორმებისა და ფიგურების შექმნა);

თამაშისას აუცილებელია, რომ ბავშვმა გამოიყენოს ნარჩენი მხედველობა. ზოგი ბავშვი შეძლებს საგნების ფერების, ფორმების, სილუეტების აღქმას, რაც დამატებით ინფორმაციაა განვითარებისთვის. ძალიან ხშირად, გონე-

ბრივი განვითარება ხდება, როდესაც ბავშვი ჩართულია სახლის საქმიანობებში. მაგ.: წინდების დაწვეილება, ტანსაცმლის შელაგება ზომის მიხედვით, სამზარეულოში, ბავშვი სწავლობს სხვადასხვა დანიშნულების ხელსაწყოების შესახებ, სწავლობს სხვადასხვა სუნის, ფაქტურის, ფორმების გარჩევას და ა.შ. რაც უფრო მეტად ჩართავს მშობელი ბავშვს სახლის მოვლაში, მით უფრო განვითარდება ბავშვი გონებრივად და ფიზიკურად.

ბავშვის გონებრივი განვითარების ხელშეწყობის ნაწილია სმენითი ინფორმაციის გამოყენება. ქუჩაში სეირნობისას აუცილებლად აუხსენით ყველა ის ხმა, რომელიც გესმით, იქნება ეს მანქანის ხმა თუ ჩიტის ჭიკჭიკი. გადათვალეთ საფეხურები, ნაბიჯები, გავლილი მანქანების რაოდენობა, უთხარით ყველა იმ ნაცნობი ადამიანის შესახებ ვინც შეგხვდებათ გზაზე. მთელ ოჯახთან ერთად ითამაშეთ დავარდნილი საგნის ხმით ამოცნობა, დახურულ, არაგამჭვირვალე ქილაში ჩაგდებული ნივთის ამოცნობა, ჭიქაში წყლის დასხმის დროს რაოდენობის გაზომვა ხმით და ა.შ.

როგორც წესი, ნწლის ასაკში ყველა ბავშვი მომზადებულია სკოლაში წასასვლელად. მათ უკვე განვითარებული აქვთ გარკვეული წინააკადემიური უნარები, შეუძლიათ გაფერადება, ხატვა, მაკრატლით სარგებლობა, დათვლა.

ასევე ცნობენ რამდენიმე ციფრს და ასო-ბგერას, შეუძლიათ დიდი-პატარას/ბევრი-ცოტას/მაღალი-დაბლის გარჩევა; განვითარებული აქვთ თვითმოვლის უნარები: დამოუკიდებლად ჭამენ, იცვამენ/იხდიან, სარგებლობენ საპირფარეშოთი და ა.შ. მნიშვნელოვანია მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვთან ამ უნარების განვითარებაზე მუშაობა და მომზადება სკოლისთვის.

უსინათლო მოსწავლე სკოლაში წერა-კითხვას ითვისებს ბრაილის შრიფტით (ამობურცული წერტილების კომბინაციით გამოსახული სიმბოლოები). ამისთვის მას კარგად უნდა ჰქონდეს განვითარებული ნატიფი მოტორული უნარები რათა შეძლოს წერტილების გაჩხვლეტა და შეხების უნარი, რათა თითების ბალიშებით ამოიციოს ამობურცული სიმბოლოები. დაავალეთ ბავშვს რაც შეიძლება მეტი ხელსაქმე:

- საქმლის მომზადებისას მიეცით ბავშვს ორი ერთმანეთში შერეული ბურღულეული, და სთხოვეთ მათი გარჩევა (ლობიო და სიმინდი);
- ჩართეთ ბავშვი ისეთ საქმიანობაში, როგორიცაა: სარეცხის გაწურვა, სამაგრების დამაგრება სარეცხის გაფენისას, საერთო გარეცხილი ტანსაცმიდან საკუთარის ამოცნობა, წინდების ჩაკეცვა, მოხარშული კარტოფილის გაფცქვნა, ცომის მოზელა და სხვ.

დაავალეთ საკუთარი სათამაშოების შენახვა. ასე ის ისწავლის წესრიგს და ერთნაირი საგნების ამოცნობას და შენახვას;

რბილ ზედაპირზე დაამაგრეთ ფურცელი ისე, რომ კალმისტრის დაჭერისას რჩებოდეს ხელით აღსაქმელი კვალი. დახატეთ სხვადასხვა მარტივი ფიგურა. მაგ.: მზე, ყვავილი, სახლი, ფანჯარა, სხვადასხვა გეომეტრიული ფიგურა. სთხოვეთ ბავშვს მათი შესწავლა და შემდგომში ამოცნობა. მიეცით ბავშვს ასე ხატვის საშუალება, რათა მისთვის ხატვა არ იყოს აბსტრაქტული ცნება;

გამოძერწეთ სხვადასხვა ფიგურა და ფორმა. ეს ხელს შეუწყობს ბავშვის მოტორიკის და აღქმის განვითარებას;

ითამაშეთ ერთნაირი საგნების დაწყვილებაზე. მაგ.: ყუთში ჩააგდეთ ბევრი წყვილი ნაჭრის კვადრატი და სთხოვეთ ბავშვს მსგავსი ნაჭრების პოვნა;

სასურველია სკოლაში წასვლამდე ბავშვს ჰქონდეს წარმოდგენა ბრაილის შრიფტის შესახებ და სახლში იყოს წარწერები ბრაილით. მაგ.: დააწერეთ წიგნის სათაური ბრაილით, ან შექმენით მოკლე მოთხრობები;

ითამაშეთ ბრაილის ხელსაწყოების გამოყენებით წერტილების ამოცნობაზე. მაგ.: სად არის გაჩხვლევითი წერტილი ფურცელზე? რამდენი წერტილია? მიეცით ბავშვს წერტილების გაჩხვლევითი საშუალება;

მიეცით საშუალება საკუთარ ფეხსაცმელზე ზონრების გაყრის და ასწავლეთ ზონრების შეკვრა;

ასწავლეთ ღილების გახსნა-შეკვრა;

ასწავლეთ ნახვრეტის მაკარონის ასხმა თოკზე;

ასწავლეთ პინცეტის გამოყენებით ნივთების აღება;

ითამაშეთ სხვადასხვა ასაწყობი სათამაშოებით (კონსტრუქტორი, ლეგო);

ითამაშეთ მოზაიკით. შექმენით ფიგურები მოზაიკის სოკოების გამოყენებით.

იმის გამო, რომ ბავშვი ვერ ხედავს სივრცეში არსებულ ნივთებს და დაბრკოლებებს, მას ურჩევნია ჯდომა და გადაადგილება მხოლოდ ნაცნობ გარემოში. ამდგავარ „პასიურობას“ ხელს უწყობენ ასევე ოჯახის წევრები, რომლებიც ყველაფერს უსრულებენ ბავშვს იქნება ეს მაღაზიაში ჩასვლა თუ სახლში სხვა ოთახიდან ნივთების მოტანა. როგორც წესი, მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვმა არ იცის სირბილი, არ აქვს ხეზე ცოცვის გამოცდილება, არ თამაშობს ფეხბურთს, კალათბურთს და არ ერთვება სხვა ბავშვებთან ერთად ფიზიკურ თამაშებში რადგან იცის, რომ ეს საშიშია და მან შეიძლება მიიღოს ტრავმა. ამის გამო მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვები არიან უფრო სუსტები, შემცირებული აქვთ კუნთთა მასა, არ იციან სხეულის ფიზიკური შესაძლებლობების შესახებ, უჭირთ წონასწორობის დაცვა,

ბურთის სროლა მიზნისკენ და სხვ. ბავშვის ფიზიკური განვითარება არანაკლებ მნიშვნელოვანია ბავშვის ჯანმრთელობისთვის და კეთილდღეობისთვის. შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ ვარჯიშების დაგეგმვაში:

- ☑ დილა დაიწყეთ ვარჯიშით. ამ დროს ვარჯიშობს ოჯახის ყველა წევრი;
- ☑ სირბილის დროს გამოიყენეთ ელასტიური ლენტა და დაიმაგრეთ ერთი ბოლო საკუთარ, ხოლო მეორე ბოლო თქვენი შვილის ხელზე. (სასურველია რომ ამ დროს ადამიანების სიმაღლე იყოს თანაბარი). დაიწყეთ სირბილი ნელი ტემპით, ბავშვი მიხვდება თქვენი სხეულის მოძრაობებს და იქნება დაცული;
- ☑ გაახვიეთ ბურთი პარკში რათა მოძრაობისას ის მოდეს სად გორგება ბურთი და ითამაშეთ ასე ფეხბურთი;
- ☑ ასწავლეთ ბავშვს ხმოვანი მიზნისკენ სროლა, მაგ.: ბოულინგის თამაშისას დადექით კეგლების უკან და უთხარით ბავშვს მათი მდებარეობა;
- ☑ მიიყვანეთ ბავშვი კლდეზე ცოცვაზე. ის იქ არის დაცული და აქვს საშუალება უსაფრთხო დავარდნის;
- ☑ მიეცით ბავშვს ხტუნვის საშუალება (ბატუტი, მატრასი). ამ დროს დაიცავით უსაფრთხოების წესები;
- ☑ ითამაშეთ თამაშები შუახაზის გადაკვეთაზე. მაგ.: ყველა ოჯახის წევრი იმეორებს ინსტრუქციას: „მარჯვენა

ხელით შევეხოთ მარცხენა მუხლს, მარცხენა ყურით მარჯვენა ფეხს და ა.შ;

- ☑ გამოიყენეთ პატარა პლასტმასის ბურთები და სხვადასხვა დისტანციიდან ჩააგდეთ ისინი რკინის ჯამში;
- ☑ ჯანმრთელობისთვის ძალიან სასარგებლოა ცურვა, საბავშვო იოგა, სხეულის გამაჯანსაღებელი ვარჯიშები, სიარული.

4.2. აკადემიური უნარების განვითარება:წერა-კითხვა, მათემატიკური აზროვნება.

წერა - კითხვის სწავლება: უსინათლო და მცირემხედველი ადამიანების სრულყოფილი ცხოვრებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის მნიშვნელოვანია ენის ფლობა, რაშიც მოიაზრება მოსმენილის გააზრება, ზეპირმეტყველება, წერა და კითხვა.

უსინათლო ადამიანები წერა-კითხვისთვის იყენებენ ე.წ. ბრაილის ანბანს. ანბანი შეიქმნა სპეციალურად უსინათლოებისათვის, ფრანგი პედაგოგის, ლუი ბრაილის (1809-1852) მიერ. თითოეული სიმბოლო (ასო-ბგერა, ციფრი) წარმოადგენს ამობურცული წერტილების კომბინაციას. ბრაილით წერა-კითხვა განსაკუთრებულ

კონცენტრაციას საჭიროებს, წაკითხვისას სიმბოლოების აღქმა მოითხოვს უფრო მეტ დროს ვიდრე ნაბეჭდი ტექსტის.

მცირემხედველი ადამიანები, უმეტეს შემთხვევაში, წერაკითხვისას იყენებენ ორივე საშუალებას (ბრაილის შრიფტი და ნაბეჭდი შრიფტი). მაგ: მოკლე წინადადებების, აბრეზის, მედიკამენტების და პროდუქტების დასახელების წასაკითხად იყენებენ ნარჩენ მხედველობას ნაბეჭდი შრიფტის წასაკითხად, ხოლო დიდი ზომის ტექსტების დამუშავებისას ბრაილის შრიფტს.

უსინათლო და მცირემხედველი ადამიანები წერაკითხვისთვის ასევე აქტიურად იყენებენ ტექნოლოგიებს, კომპიუტერს და აუდიო ჩანაწერებს. სპეციალური პროგრამის საშუალებით კომპიუტერი ახმოვანებს ყველა ტექსტსა და სიმბოლოს.

ბრაილის ანბანის შესწავლა: ანბანის შესწავლის საწყის ეტაპზე გამოიყენება ბრაილის საშუალო ზომის (18 რიგი/სტრიქონი) დაფა, რომელიც დაყოფილია უჯრებად. თითოეული უჯრაში არის ექვსი ჩაზნექილი წერტილი: ორ, ვერტიკალურ რიგად განლაგებული სამ-სამი წერტილი. ბრაილის ანბანის თითოეული სიმბოლო (ასობგერა, ციფრი, სასვენი ნიშანი, მათემატიკური, ფიზიკური

და ქიმიური ნიშანი და სანოტო სისტემის სიმბოლოები) არის დაფის ერთ უჯრაში მოთავსებული წერტილების კომბინაცია. უჯრაში თითოეულ წერტილს აქვს თავისი ნუმერაცია.

წერის დაწყებამდე დაფაში თავსდება ფურცელი. სიმბოლოების ჩაწერა ხდება სპეციალური ფანქრის მეშვეობით (ბრაილის ფანქარი, სტაილუსი) ქალაქი უნდა იყოს საშუალო სისქის, რათა ფანქრის დაჭერისას ქალაქი არ გაიხეხოს და ამობურცული წერტილი იყოს ხარისხიანი და ადვილად აღსაქმელი.



ბრაილის შრიფტით ტექსტი იწერება მარჯვნიდან-მარცხნივ, ხოლო იკითხება მარცხნიდან - მარჯვნივ. ამ თვალსაზრისით, ბრაილის ანბანის დაუფლება რთულია, რადგან მოსწავლემ უნდა დაიმახსოვროს, როგორ იწერება

1 ● ● 4	4 ● ● 1
2 ● ● 5 კითხვის დროს	5 ● ● 2 წერის დროს
3 ● ● 6	6 ● ● 3

რება სიმბოლო და წაკითხოს მისი შებრუნებული გამოსახულება. კითხვის დროს იცვლება ათვლის წერტილი - წერის დროს პირველი წერტილი არის უჯრის ზედა მარჯვენა წერტილი, ხოლო კითხვის დროს -

ზედა მარცხენა. (შენიშვ.წიგნში აღწერილი ბრაილის სიმბოლოები გამოსახულია საკითხავ პოზიციაში).


წერის პროცესის აღწერა წერის დროს მოსწავლე უნდა იჯდეს გამართულად და მაგიდაზე ბრაილის დაფა მოთავსებული უნდა იყოს სწორად. ხელი, რომელშიც ბრაილის ფანქარი გვიჭირავს, ეყრდნობა მაგიდას. ბრაილის ფანქრის დაჭერისას საჩვენებელი თითი მოთავსებულია ფანქრის ზემოთ, ხოლო ცერა და შუათითი აფიქსირებენ გვერდებს;




ნკა და არათითი ეყრდნობა დაფის ზედაპირს. ფანქარზე დაწოლით ხდება ფურცლის ჩაჩხვლეტა, რაც ამოტრიალების შემთხვევაში აღიქმება ამობურცულ წერტილად. მეორე ხელის საჩვენებელი თითი აფიქსირებს მომდევნო უჯრას, რათა წერისას არ დაიკარგოს სტრიქონი. ის ეხმარება საწერ ხელს ორიენტაციაში. წერტილის გაჩხვლეტა ფიქსირდება ჩხვლეტის ხმით და შეგრძნებებით.

სანამ მოსწავლე დაიწყებს სიმბოლოების ჩაწერას და დამახსოვრებას, სასურველია გაიაროს წერის მოსამზადებელი ეტაპი. მოსამზადებელ ეტაპზე მოსწავლე სწავლობს ბრაილის დაფაში ფურცლის მოთავსებას/ამოღებას, წერტილთა პოზიციებს უჯრაში და დაფაში ორიენტაციას; აკეთებს ნაჩხვლეტებს ჯერსურვილისამებრ, ხოლო შემდეგ ინსტრუქციების მიხედვით:


 ჩაჩხვლიტე ექვსივე წერტილი ერთ უჯრაში უჯრის გამოტოვებით;

 ჩაჩხვლიტე მხოლოდ ზედა მარჯვენა წერტილები უჯრის გამოტოვების გარეშე;


 ჩაჩხვლიტე ქვედა მარცხენა წერტილები დაფის ყველა სტრიქონის დასაწყისში;


 დახაზე მართკუთხედი, კვადრატი.

ბრაილის ანბანის სიმბოლოების დამახსოვრება შეიძლება რამდენიმე გზით. ზოგი ბავშვი სიმბოლოს იმახსოვრებს წერტილთა ნუმერაციის მიხედვით, მაგ.: ასო ბგერა „ნ“ არის პირველი, მე-3, მე-4, მე-5 წერტილთა კომბინაცია. ზოგი ბავშვს ბრაილის სიმბოლოს დამახსოვრება უადვილდება ფორმის მიხედვით. ორივე პრინციპის გამოყენებისას სასურველია მულტისენსორული მიდგომით სწავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ წერას ვასწავლით ყველა შეგრძნების გამოყენებით.





წერის სწავლებისთვის სასარგებლო რჩევები:


 გამოიყენეთ კვერცხის ჩასაწყობი კოლოფი ექვსი ბუდით. ეს არის ბრაილის უჯრის გადიდებული ვერსია. ამით ბავშვს გაუადვილდება წერტილთა კომბინაციის დამახსოვრება. მაგ.: ასო ბგერა „ბ“-ს ჩაწერისას მოსწავლემ უნდა განათავსოს ბურთები კოლოფის პირველ და მეორე ბუდეში;


 გამოიყენეთ მოზაიკის სათამაშო სიმბოლოების ჩასაწერად;

ასო-ბგერების სწავლების სტრატეგიები განვიხილოთ ასო-ბგერების „ა“ და „ი“-ს მაგალითზე:

 აუხსენით მოსწავლეს, რომ ასო-ბგერა „ა“ იწერება პირველი წერტილის ჩაჩხვლეტით, ხოლო ასო-ბგერა „ი“ მე-2 და მე-4 წერტილის ჩაჩხვლეტით.


 მოამზადეთ რამდენიმე საგანი, რომელიც იწყება ასო „ი“ და „ა“-ზე და სთხოვეთ მოსწავლეს ამოიცნოს ისინი.


 დაასახელეთ სიტყვები და სთხოვეთ მოსწავლეს ამოიცნოს არის თუ არა ამ სიტყვაში ასო „ი“ და „ა“


 დაწერეთ სხვადასხვა სიტყვა ბრაილის დაფაზე და ჯერ შეუსწავლელი ასოების ნაცვლად ჩაწერეთ სხვადასხვა სიმბოლო. მაგ.: თანხმომავანი ასო - ექვსი წერტილის, ხოლო ხმომავანი - 4 წერტილის კომბინაცია. ამით მოსწავლე სწავლობს ნაცნობი ასოების ამოცნობას.

 აუცილებლად შეახსენეთ ბავშვს, რომ კითხვის

დროს ყველა ასო იცვლის პოზიციას, მარჯვენა მხარეს ჩაჩხვლეტილი ასო იქნება მარცხნივ. აუხსენით, რომ ამ მოვლენას ჰქვია სარკისებური მოტრიალება. აუხსენით, რა არის სარკე და რისთვის ვიყენებთ მას.

 მიეცით ბავშვს ინსტრუქცია დაწეროს წინადადება „აია.“. ასწავლეთ როგორ იწერება წერტილის ნიშანი (მე-2, მე-5, მე-6 წერტილები).

 მიეცით მოსწავლეს ბარათი, რომელზეც დაწერილი იქნება ასო და ასოს შესაბამისი საგანი. მაგ.: ასო-ბგერა „ა“ და შესაბამისი საგანი - ასანთი. არსებობს სპეციალურად შექმნილი ანბანი, სადაც რელიეფურად გამოსახულია ნივთი, რომლის დასახელებაც იწყება შესაბამისი ასო-ბგერით.

 თუ მოსწავლეს, გარკვეული ასოს დაწერის დროს შეეშალა წერტილების კომბინაცია, სთხოვეთ მას ჩაჩხვლიტოს ყველა წერტილი. ეს სიმბოლო გამოიყენება შეცდომის გასწორებისას. 6 ჩაჩხვლეტილი წერტილი ნიშნავს, რომ სიმბოლო წაშლილია. ექვსი წერტილის გვერდზე, მომდევნო უჯრაში იწერება სწორი სიმბოლო.

ბრაილის ანბანის ჩასაწერად ასევე გამოიყენება საბეჭდი მანქანა-ბრაილერი. სიმბოლოს ჩასაწერად მოსწავლე აჭერს შესაბამის ღილაკებს, უჯრის თითოეულ წერ-



ტილს აქვს თავისი კლავიში. დაფასა და ფანქართან შედარებით ბრაილერის უპირატესობა ასევე არის ის, რომ მოსწავლეს შეუძლია სწრაფი ტემპით წეროს და ამავდროულად ხელით წაიკითხოს თავისი ნაწერი.



კითხვა ბრაილის ანბანით

ბრაილის ანბანზე დაწერილი ტექსტის კითხვის დროს ორივე ხელი აქტიურად გამოიყენება. მარცხენა ხელის საჩვენებელი თითის ფუნქციაა

სტრიქონის განსაზღვრა და დაფიქსირება, ხოლო მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის - სიმბოლოების აღქმა.

კითხვის დროს თითის ბალიშები მოძრაობენ სტრიქონზე მარცხნიდან მარჯვნივ და მცირედ ვიბრირებენ თითოეული სიმბოლოს აღსაქმელად. დანარჩენი თითები, განსაკუთრებით შუა და არათითი, ეხმარებიან წამკითხველ თითებს ორიენტაციაში. სიმბოლოები აღიქმება ნაზი შეხებით.

სიმბოლოს გაცნობისას ჯერ უნდა ვასწავლოთ, როგორ იწერება სიმბოლო და შემდეგ როგორ აღიქმება ის კითხვის დროს - კითხვის დროს სიმბოლო აღიქმება სარკისებურად. დაწერილი ტექსტის წაკითხვა შესაძლებელია დაფიდან ფურცლის ამოღების შემდეგ და წერის გაგრძელებისათვის საჭიროა კვლავ მისი დაფაში მოთავსება. ეს მოითხოვს

ძალიან კარგად განვითარებულ ნატიფ მოტორიკას, რადგან ფურცელი უნდა მოთავსდეს ზუსტად ისეთივე პოზიციაში, როგორშიც იყო თავდაპირველად.

გთავაზობთ რამდენიმე აქტივობას კითხვის უნარის განვითარებისათვის:

ბრაილის დაფის ერთ სტრიქონზე უჯრების გამოტოვებით აღნიშნეთ წერტილები და სთხოვეთ მოსწავლეს, გააყოლოს თითი სტრიქონს და დაასახელოს, სადა არის წერტილი. ბოლოს კი დათვალოს ამოზურცული წერტილების რაოდენობა. მოსწავლე ამავ დროს სწავლობს თითის გაყოლებას ერთ სტრიქონზე, რაც აუცილებელი უნარია ბრაილის ანბანით კითხვისას;

განავითარეთ მოსწავლის შეხებითი აღქმა. მაგ.: სხვადასხვა სისქის ძაფებზე გავაკეთოთ კვანძები და ვთხოვოთ მოსწავლეს, საჩვენებელი თითით შეეხოს ძაფს და იპოვოს კვანძები;

დაწერეთ ბრაილის სხვადასხვა სიმბოლო უჯრების გამოტოვებით. სთხოვეთ მოსწავლეს, ამოიცნოს, რამდენი წერტილია წერტილთა კომბინაციაში - ერთი უჯრის შესაბამის სივრცეში. მოსწავლე ამ აქტივობით სწავლობს წერტილთა რაოდენობის ამოცნობას, რაც ამზადებს ბრაილის სიმბოლოების შესწავლისათვის;

☑ შეხების განვითარებისთვის გამოიყენეთ ტაქტილური დომინო სხვადასხვა ფაქტურის ზედაპირით - ველვეტი, აბრეშუმი, ტყავი, ბეწვი და ა.შ. აქტივობის მიზანია შეხებით შესაბამისი ფაქტურების დაწყვილება;

☑ ორი კატეგორიის ნივთები (მაგ.: წიწიბურა და ლობიო, ნიჟარები და კენჭები და სხვ.) მოათავსეთ ერთად. მოსწავლე განაცალკევებს მათ;

☑ ავარჯიშეთ მოსწავლე სტრიქონზე თითის გაყოფაზე. მიეცით ნაბეჭდი მასალა, უთხარით რომ მარცხენა ხელი ჰქონდეს სტრიქონის დასაწყისში, ხოლო მარჯვენა მიჰყვებს სტრიქონს. ამავდროულად ამოიციოს წერტილთა რაოდენობა. სტრიქონის დამთავრებისას დაუბრუნდეს მარცხენა ხელს და ჩავიდეს ერთი სტრიქონით ქვემოთ;

☑ დაწერეთ სიმბოლოები სტრიქონთა გამოტოვებით, ხოლო შემდეგ სტრიქონთა მიჯრით;

☑ დაწერეთ ბრაილის შრიფტით წინადადება. მაგ.: “ზევრი ცხოველი ტყეში ბინადრობს“. გამოჭერით ეს წინადადება ისე, რომ ყველა სიტყვა იყოს გამოჭრილი ცალ-ცალკე. ჩაყარეთ სიტყვები ყუთში. სთხოვეთ მოსწავლეს ამოიღოს ფურცლები, წაიკითხოს და ააწყოს წინადადება;

☑ აირჩიეთ რამდენიმე საგანი და დაწერეთ ბრაილის შრიფტით მათი სახელწოდებები ფურცლებზე. სთხოვეთ მოსწავლეს დააწყვილოს ფურცლები შესაბამის საგნებთან.

ეს აქტივობა შეიძლება შესრულდეს ჯგუფურად. დაყავით ბავშვები მცირე ჯგუფებად, მიეცით დაბეჭდილი სიტყვები, სადაც რამდენიმე სიტყვა იქნება დაწერილი ბრაილის შრიფტით;

☑ დაწერეთ ბრაილის შრიფტით სიტყვა არეული ასოებით. სთხოვეთ მოსწავლეს გაასწოროს თანმიმდევრობა.

მცირემხედველ მოსწავლესთან ბრტყელი ანბანის სწავლებისას გაითვალისწინეთ:

☑ ტექსტზე მუშაობის პროცესი არ უნდა იყოს ხანგრძლივი, რათა არ გადაიღალოს თვალის კუნთი;

☑ კითხვის ხანგრძლივობა არის ინდივიდუალური ბავშვის მხედველობის მდგომარეობიდან გამომდინარე და ამას ადგენს ექიმი;

☑ საჭიროა განათების სწორად შერჩევა - განათება დამონტაჟებული უნდა იყოს ოთახის ყველა მხარეს, რათა არ დაეცეს ჩრდილი საკითხავ მასალას. საჭიროა განათების სიკაშკაშის ინდივიდუალური შერჩევა მხედველობის დარღვევის ტიპის შესაბამისად: მიოპიის დროს საჭიროა მკვეთრ განათებასთან ერთად ლოკალური - მაგიდის ნათურის დამონტაჟება, ხოლო ფოტოფობიის (სინათლის მიმართ მაღალი მგრძნობელობა) დროს მკვეთრი განათება შემაწუხებელია;

☑ საკითხავი მასალა უნდა მოთავსდეს დახრილ პოზიციაში (30° კუთხით). ასე მოხდება ხერხემლის პრო-

ბლემების პრევენცია და თვალის მალე გადაღლის აცილება;

მოსწავლემ აუცილებლად უნდა ატაროს ექიმის მიერ გამოწერილი სათვალე კითხვის დროს. ასევე გამოიყენოს ტექსტის გამადიდებელი საშუალებები: ლუპა და ელექტრო გამადიდებელი. ამ ტექნიკური საშუალებების გამოყენება მოითხოვს კარგად გავარჯიშებას. მოსწავლემ ხელით უნდა გააკეთოს ფურცელზე აღნიშვნები, იმ დროს როდესაც მისი თვალი უყურებს მონიტორზე გამოსახულ ტექსტს;

ტექსტი სასურველია იყოს ნაბეჭდი გამავეებული და არა ხელნაწერი. შერჩეული შრიფტი არ უნდა იყოს დახრილი. შრიფტის ზომა არის ინდივიდუალური ყველა ბავშვისთვის, მაგრამ სკოლაში წარწერების გაკეთებისთვის გამოიყენება სტანდარტული ზომა 18;

რვეულში სტანდარტული ხაზების აღქმა მცირემხედველ მოსწავლეებს უჭირთ. მათ სჭირდებათ რვეული კონტრასტული ხაზებით და დიდი ზომის უჯრებით. დაუხაზეთ მოსწავლეს უჯრები მუქი ფერის კალმით. გაითვალისწინეთ, რომ ხაზების ფერი არ უნდა იყოს მოსწავლის საწერ კალამზე მკვეთრი;

იმ შემთხვევაში, თუ მცირემხედველი მოსწავლე აღიქვამს საკლასო ოთახის დაფაზე დაწერილ სიმბოლოებს, აქტიურად გამოიყენეთ მისი ნარჩენი მხედველობა.

აირჩიეთ მუქი ფერის დაფა და თეთრი მკვეთრი ცარცი. დაფა არ უნდა იყოს დახაზული. ეს უფრო დააბნევს ბავშვს. დაწერეთ დიდი ზომის ასოები და სთხოვეთ მოსწავლეს, გადაწეროს ისინი თავის რვეულში;

სწავლებისას გამოიყენეთ მულტისენსორული მიდგომა. ასო-ბგერების სწავლებისას გამოძერწეთ, გააფერადეთ, შექმენით კენჭების გამოყენებით და ა.შ. ასოები.

მათემატიკური აზროვნების განვითარება

მათემატიკა მოზარდს უვითარებს ინფორმაციის დამუშავებისათვის საჭირო უნარებს: ინფორმაციის წარმოდგენის (ასახვის), ინტერპრეტაციის (ახსნის), არსებული მონაცემების საფუძველზე მოვლენის პროგნოზირების და სხვა მნიშვნელოვან უნარებს. მათემატიკის შესწავლას აქვს პრაქტიკული, ცხოვრებისეული დანიშნულება. მათემატიკური ცოდნა წარმოადგენს ბაზისს სხვა სასკოლო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია) დასაუფლებლად. აგრეთვე, ის მრავალი ისეთი სპეციალობის შემადგენელი ნაწილია, რომელთა შესწავლა პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებზე ხდება: ბიზნესი, ინჟინერია, დიზაინი და ა.შ.

არსებობს შემდეგი საბაზისო მათემატიკური უნარები: სერიაციის უნარი, კლასიფიკაციის უნარი, დისკრიმინაციის (განსხვავების) უნარი, შედარების უნარი, მანძილისა

და დროის განსაზღვრის უნარი და გეომეტრიული (სივრცული) უნარი.

სერიაციის უნარი გულისხმობს საგნების დალაგებას ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით, თანმიმდევრობის შექმნა რაიმე პრინციპის მიხედვით (მაგ.: პატარა დიდისაკენ, დაბლიდან მაღლისაკენ და ა.შ.). მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლესთან სერიაციის უნარის განვითარება უნდა მოხდეს შესაბამისი თვალსაჩინოებების გამოყენებით და არა მხოლოდ წარმოსახვით. მაგ.: რიცხვების თანმიმდევრულად განლაგებისას აუცილებელია თან ვიქონიოთ შესაბამისი საგანთა რაოდენობა, 1 – 1 კენჭი, 2 – 2 კენჭი რათა მოსწავლემ შეხებით გაიაზროს ზრდის და კლებადობის პრინციპი.

კლასიფიკაციის უნარის განვითარება ხდება ავტომატურად, როდესაც ბავშვი აკვირდება გარემოში არსებულ ხატებს. მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლე საგანთა კლასიფიკაციისთვის საჭიროებს თითოეული ნივთის დეტალურ შესწავლას, რათა შეძლოს ნივთის მახასიათებლების დამახსოვრება. მაგ.: კოვზის დათვალიერებისას უნდა ავუხსნათ მისი ფუნქცია, რა მასალისგან არის გაკეთებული, მისი ზომა და წონა, რათა ბავშვმა შემდგომში შეძლოს მისი მიკუთვნება სხვადასხვა კატეგორიაში, როგორცაა ჭურჭელი, მეტალის საგანი, მსუბუქი საგნები და ა.შ.


დისკრიმინაციის (გარჩევის) უნარის განვითარებისთვის უსინათლო ბავშვს უნდა ჰქონდეს საგნებზე მრავალფეროვანი ინფორმაციის მოძიების საშუალება. მაგ.: ფეხსაცმელი შეიძლება იყოს თასმიანი, ქუსლით, სპორტული, ჩექმა და ა.შ. როდესაც ბავშვი ისწავლის საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების გარჩევას, ის შეძლებს გეომეტრიული ფიგურების გარჩევასაც.

ცნებათა შედარებისთვის (საზომი ცნებები: ზომა, წონა, სიგანე, სიგრძე და სიმაღლე) საჭიროა სპეციალური ხელსაწყოების გამოყენება: ტაქტილური სახაზავი, ხმოვანი სასწორი, ტაქტილური სანტიმეტრი და სხვ. შედარების უნარის განვითარებისთვის აუცილებელია მივაწოდოთ უსინათლო ბავშვს ნივთები თვალსაჩინო განსხვავებით (დიდიზურთი, პატარაზურთი). სიმაღლის ცნება უსინათლო მოსწავლისთვის არის ყველაზე პრობლემატური, რადგან ის აღიქვამს სიმაღლეს თავის სხეულთან მიმართებაში. მაგ.: როგორ ავუხსნათ ბავშვს შენობის სიმაღლე? ავიღოთ მისი სიმაღლე როგორც საზომი ერთეული, და ვუთხრათ, რომ შენობა შენზე ოთხჯერ დიდია (ოთხი შენი სიმაღლის ადამიანი თუ დადგება ერთმანეთის მხრებზე).

მანძილისა და დროის აღქმა არის უმნიშვნელოვანესი უნარი მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვისთვის, რადგანაც ის ეხმარება მას სივრცით ორიენტაციაში. ტაქ-

ტილური სანტიმეტრის მეშვეობით გაზომეთ სახლში დისტანციები ავეჯს შორის, ბინის სიგრძე. ეთამაშეთ ბავშვს ისეთი თამაშები, სადაც მანძილის განსაზღვრისთვის ის გამოიყენებს სმენას. მაგ.: სმენის გამოყენებით გათვალეთ დისტანცია თქვენს შორის ნაბიჯების ან მეტრის საზომის გამოყენებით.

გეომეტრიული აზროვნება საჭიროებს ვიზუალურ აღქმას, რადგან გულისხმობს ხაზვას და სივრცეში გეომეტრიული ფიგურების წარმოდგენას. სწორი მიდგომის და ადაპტური ხელსაწყოების გამოყენებით უსინათლო მოსწავლეს ეძლევა გეომეტრიული აზროვნების განვითარების საშუალება:




ჭიკარტების, რეზინების და ტაქტილური სახაზავის გამოყენებით შესაძლებელია გეომეტრიული ფიგურების წარმოდგენა და შექმნა;

ტაქტილური ტრანსპორტირის მეშვეობით შესაძლებელია კუთხეების ზუსტი დახაზვა;

კალმისტარზე ძლიერი ზეწოლით ქაღალდზე რჩება ხელით აღსაქმელი კვალი. გამოიყენეთ რბილ ზედაპირზე მოთავსებული სქელი ქაღალდი;

გამოიყენეთ სამგანზომილებიანი მაგნიტური სათამაშოები, როგორცაა მაგნიტური ფიგურები, ჯოხები.



4.3. თვითმოვლის უნარების განვითარება და დამოუკიდებლობის ხელშეწყობა

დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების განვითარება არის ძალიან მნიშვნელოვანი მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლისთვის. მან უნდა შეძლოს დახმარების გარეშე ჩაცმა, ჭამა, სახლის მოწესრიგება, ფულის გამოყენება, დროის მართვა (გადანაწილება), საჭმლის მომზადება და ბევრი სხვა საქმიანობა. თუ მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს ასევე აქვს განვითარების შეფერხება ან არის მცირეწლოვანი მას დასჭირდება ინდივიდუალური დამხმარე. ამ დახმარებას, უმეტესად, უწევს მშობელი. დამხმარეს მიზანია განავითაროს ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრების უნარები და მაქსიმალურად გამოიყენოს ბავშვის რესურსი.

მნიშვნელოვანია ბავშვში პასუხისმგებლობის და დამოუკიდებლობის განვითარება. დაიმახსოვრეთ:

✿ არასდროს გაუკეთოთ მოსწავლეს ის, რის გაკეთებაც შეუძლია თავისით, ნუ მიაჩვევთ სხვაზე დამოკიდებულებას, არამედ შეუქმენით პირობები და გარემო, რომ განუვითარდეს დამოუკიდებლობის უნარები, მიუხედავად მხედველობითი სირთულეებისა;

✿ თუ ბავშვს არ შეუძლია მაგ.: ჩაცმა, დაყავით აქტივობა პატარა ნაბიჯებად და მიეცით საშუალება შეასრულოს რომელიმე ნაბიჯი;

✿ თუ მოსწავლე ითხოვს დახმარებას (ჩამაცვით, მაჭამეთ), ნუ დაეხმარებით მას ავტომატურად. ეცადეთ ჯერ აუხსნათ ბავშვს გზები, რითაც ის თვითონ შეასრულებს კონკრეტულ საქმიანობას. აუხსენით რას აკეთებს ის არასწორად;

✿ ნუ გავუწევთ მოსწავლეს დათვურ სამსახურს ყოველდღიურ საქმიანობაში როგორცაა ნაგვის გადაყრა, ქურთუკის დაკიდება. მოსწავლემ უნდა იცოდეს სად ქრება ნაგავი და როგორ აღმოჩნდა მისი ქურთუკი საკიდზე;

✿ დაავალეთ ბავშვს რაც შეიძლება ბევრი საქმიანობა, მაგ.: ჭურჭლის გამშრალება, შელაგება კარადაში და ა.შ.;

✿ სახლის დალაგების დროს მოსწავლე ასევე ვითარდება ინტელექტუალურად. ის სწავლობს საგნების ამოცნო-

ბას, კლასიფიკაციას, გარჩევას, პოულობს სხვადასხვა სიმძიმის, ზომის, სიგრძის ნივთებს, იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. დაიწყეთ დალაგების პროცესი ჯერ სათამაშოების შენახვით და თანდათან გაართულეთ მოვალეობები.

მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლეს აქვს უფლება ჩაიცვას დამოუკიდებლად, იზრუნოს საკუთარ ტანსაცმელზე, შეარჩიოს ნივთები საკუთარი გემოვნებით, და იზრუნოს მათ სისუფთავეზე. ამისათვის აუცილებელია ბავშვობიდანვე ჩაცმის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა. ჩაცმის სწავლებისას დაუდექით მოსწავლეს უკან, მოკიდეთ ხელი მის ხელს და გააკეთებინეთ სასურველი მოქმედება.

ტანსაცმლის დაჯგუფებისთვის გამოიყენეთ მარკირების ხერხი. შეგიძლიათ უკან ეტიკეტზე მიაკეროთ მიმანიშნებელი ღილი ან ფიგურა. მაგ.: ყველა წითელ მაისურზე არის მრგვალი ღილი.

ტანსაცმლის შენახვისას გამოიყენეთ პოლიეთილენის პარკები ან ყუთები რათა ყველაფერს ქონდეს თავისი ადგილი: წინდები ერთ პარკში, საცვლები მეორეში და ა.შ. ამ პარკების განლაგება კარადაში არ უნდა იცვლებოდეს. ასწავლეთ ბავშვს ტანსაცმლის დაკეცვა, საკიდზე დაკიდება, თაროზე დალაგება.

მოსწავლემ უნდა იცოდეს ჭუჭყიანი ტანსაცმლის გარჩევა და მისი გარეცხვა. დააწებეთ წებოვანი სტიკერები ბრაილის შრიფტით სარეცხ მანქანაზე. ეს დაეხმარება მას საჭირო ღილაკების პოვნაში. წინდების გარეცხვისას გამოიყენეთ ორგანაიზერები. ასე მოსწავლეს არ გაუჭირდება წყვილის მოძებნა.

ასწავლეთ მოსწავლეს ზონრების და ღილების შეკვრა დიდი ზომის მოდელებზე, რათა მას გაუადვილდეს მოქმედებების აღქმა და დამახსოვრება.

დამოუკიდებლობის ხელშეწყობა ჭამის დროს იწყება ისეთი საკვებით, რის დაჭერაც მოსწავლეს შეუძლია თითქმის, მაგ.: კვერცხი, კრეკერები, ვაშლი, ხაჭაპური და ა.შ.

სწავლებისას დაუდექით მოსწავლეს უკნიდან და გაუწიეთ დახმარება ან ხელზე მოკიდებით, ან მოათავსეთ მისი ხელები თქვენს ხელებზე რათა მან იგრძნოს თქვენი მოძრაობები.

როდესაც მოსწავლე ჭამს ჩანგლით, სიძნელეს წარმოადგენს თევზზე ლუკმის პოვნა. მიეცით ბავშვს საშუალება მოძებნოს ლუკმა მეორე ხელის თითებით. შემდგომში ჩაანაცვლეთ თითები პურის ნაჭრით და დანით. თევზზე განლაგებული საჭმლის პოვნისთვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ე.წ. საათის პრინციპი. წარმოიდგინეთ, რომ თევზი

არის ციფერბლატი და ხორცის მდებარეობა თევზზე არის პირველ საათზე, ხოლო ბოსტნეულის 6 საათზე.

თუ მოსწავლეს არ შეუძლია დამოუკიდებლად ჭამა განვითარების სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებლად აუხსენით რას ჭამს, სად არის თევზი, ვინ ზის მასთან ერთად მაგიდასთან. არასდროს გაფრთხილების გარეშე არ ჩაუდოთ მას ლუკმა. ჯობია უთხრათ, რომ ვაშლი დევს თევზზე და სთხოვეთ ბავშვს მისი მოძებნა დამოუკიდებლად.

მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვმა უნდა შეძლოს საერთო ჯამიდან საჭმლის გადაღება და წყლის დასხმა საკუთარ ჭიქაში. ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვს არ დახვდეს მზა თევზი, არამედ იყოს ჩართული საჭმლის მოძიებაში და რაოდენობის განსაზღვრაში.

მაგიდის სერვირებისას გაითვალისწინეთ, რომ მცირე-მხედველი მოსწავლე უკეთ აღიქვამს ჭურჭელს მკაფიო კონტრასტით. ასე ის ბევრად უსაფრთხოდ და დამოუკიდებლად მიირთმევს საჭმელს.

ფულის ამოცნობას მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლე სწავლობს შეხებით. მონეტების გარჩევა ხდება მათი ზომების დამახსოვრებით, ხოლო კუპიურების-სპეციალური ნიშნულებით. მოსწავლეს გაუადვილდება

საჭირო კუპიურის პოვნა, თუ კი საფულეში იქნება ბევრი სხვადასხვა სექცია, სადაც ის შეინახავს სხვადასხვა კუპიურას. ასევე მას შეუძლია მათი განსხვავებულად დაკეცვა. არსებობს აპლიკაცია ტელეფონში, რომელიც ახმოვანებს უცხოურ ვალუტას.

4.4. ორიენტაციისა და მობილობის უნარების განვითარება









ადამიანისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა დამოუკიდებლად გადაადგილება. ამიტომ მშობელმა ყველანაირად უნდა შეუქმნას მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვს თავისუფალი გადაადგილების პირობები, იგულისხმება: უსაფრთხო გარემო სახლში და მის ეზოში, გარეთ გასვლის შესაძლებლობა და მრავალი გამოცდილება. უსაფრთხო გარემოს შექმნის მთავარი პრინციპებია: ნაკლები ავეჯი, ავეჯის დამრგვალებული კუთხეები, დამცავი ღობეკიბებთან და სხვ. აუცილებელია ბავშვმა პატარაობიდანვე იცოდეს თავდაცვის ტექნიკები, რათა არ მიიღოს სერიოზული ტრავმა. ასევე, რაც შეიძლება ადრე უნდა დავაჭერინოთ ხელში თეთრი ხელჯოხი. მისი დახმარებით ის შეძლებს გარემოს შესწავლას და გადაადგილებას დამოუკიდებლად. ბევრ მშობელს მიაჩნია, რომ თეთრი ხელჯოხის დაჭერა არის სირცხვილი და ასე თვალსაჩინო ხდება ბავშვის მხედველობითი პრობლემა.

თუმცა ეს პირიქით, აფრთხილებს საზოგადოებას, რომ ბავშვი არის მხედველობითი დარღვევით და მძლოლები და ფეხით მოსიარულეები უნდა იმოძრაონ განსაკუთრებული სიფრთხილით.

მნიშვნელოვანია მშობელმა ელაპარაკოს ბავშვს ზუსტი სივრცითი ცნებების გამოყენებით როგორცაა: შენგან წინ, მარჯვნივ, უკან, ზევით და ა.შ. და შეუქმნან ბავშვს სწორი წარმოდგენები სამყაროს შესახებ: შენობების ფორმები, განლაგება ქუჩაში, გადასასვლელებზე მოქცევის წესები და ა.შ. ასევე სიარულისას მნიშვნელოვანია მოქმედებების გახმოვანება, მაგ.: ეს იყო მანქანის ხმა, ახლა გადავდივართ შუქნისანზე, ჩავდივართ კიბეებზე და ა.შ.




4.5. დამხმარე საშუალებები და ტექნიკური აღჭურვილობები

დამხმარე საშუალებები და ტექნიკური აღჭურვილობები ეხმარება უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეს სწავლაში, ყოველდღიური საქმიანობების შესრულებაში, გადაადგილებაში და ა.შ. სწავლის დროს უსინათლო მოსწავლეები იყენებენ:

-  ბრაილის შრიფტის საწერი საშუალებები: დაფა/ფანქარი, საბეჭდი მანქანა-ბრაილერი;
-  კომპიუტერში და ტელეფონში არსებული ხმოვანი პროგრამა, რომელიც ახმოვანებს ტექსტებს და ყველა განხორციელებულ მოქმედებას;
-  ბრაილის კლავიატურა, რომელიც არსებულ ტექსტს გარდაქმნის ბრაილის შრიფტით;
-  ბრაილერის პრინტერი, რისი მეშვეობით კომპიუტერში ატვირთული ტექსტის დაბეჭდვა ხდება ბრაილის შრიფტით;
-  სკანერი, რომელიც ქათალდზე დაწერილ ტექსტს გარდაქმნის ელექტრონულ ტექსტად;
-  დიქტოფონი, რომლის მეშვეობით შესაძლებელია გაკვეთილის და ტექსტების ჩაწერა/მოსმენა
-  წიგნების აუდიო ჩანაწერები;
-  ბრაილის კომპიუტერი B2G;

სწავლის დროს მცირემხედველი მოსწავლეები იყენებენ:



-  ხელის მაგნიფიკატორები - ლუპები;
-  ვიდეომაგნიფიკატორები CCTV, რომლებიც ადიდებენ ტექსტის შრიფტს და ცვლიან კონტრასტს;
-  კომპიუტერში მონიტორის გამადიდებელი სისტემა (Zoom Text, MAGic,-

VisAbility).

4.6. გარემოს ადაპტირების მნიშვნელობა მხედველობითი დარღვევის მქონე ბავშვისთვის

მხედველობითი დარღვევის მქონე მოსწავლის ფუნქციონირება პირდაპირ დაკავშირებულია იმაზე, თუ რამდენად პასუხობს გარემო მის საჭიროებებს. გარემოს ადაპტირება (მოწყობა) მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: შენობის განათება, კონტრასტები, წარწერები და ნიშნები.

განათება: მცირემხედველი მოსწავლეების უმრავლესობას სჭირდება კარგად განათებული გარემო. ეს დაეხმარება მათ გარემოში არსებული ბარიერების და სხვადასხვა ინფორმაციის უკეთ დანახვაში. სასურველია, რომ ჭერის განათების წყარო იყოს რამდენიმე, რათა შევამციროთ ჩრდილის გაჩენის ალბათობა. წასაკითხად ყველაზე კარგად გამოდგება დღის შუქის ირიბი მზის სხივები

(როდესაც მზიანი ამინდია, მაგრამ შუქი არ ეცემა პირდაპირ ოთახში). გაითვალისწინეთ, რომ იატაკზე ან ავეჯიდან არეკლილი მზის პირდაპირი შუქი იწვევს თვალების ტკივილს, ამიტომ მაქსიმალურად შეარჩიეთ ისეთი ავეჯი და იატაკის ზედაპირი, რომელიც არ ირეკლავს მზის შუქს. საკლასო ოთახში მცირემხედველი მოსწავლის ადგილი უნდა იყოს სპეციალურად შერჩეული. უნდა იჯდეს ფანჯარასთან და დაფასთან ახლოს, მაგრამ არ უნდა ეცემოდეს მზის პირდაპირი სხივები. სინათლის წყარო უნდა იყოს მოსწავლის პირდაპირ და მარცხნიდან, თუ ბავშვი არის მემარჯვენე, და წინიდან და მარჯვნიდან თუ კი ბავშვი არის მემარცხენე. სასურველია, რომ მოსწავლეს ასევე ჰქონდეს საკუთარი მაგიდის სანათი, რომლის დარეგულირებას ის თვითონ შეძლებს.

ოთახის დიზაინი, ავეჯი და ტექნიკა უნდა იყოს ერთმანეთთან კონტრასტში და არა ერთი ფერის. ასე, მცირემხედველ მოსწავლეს გაუადვილებს საგნების ამოცნობა და მათი გამოყენება. მნიშვნელოვანია ყოველი კიბის მონიშვნა ხაზით, რათა მცირემხედველმა ბავშვმა დაინახოს საფეხურები. კარები და კედლები უნდა იყოს ერთმანეთთან კონტრასტში, მაგ.: თეთრი კედლები და ყავისფერი კარები. ნებისმიერი ამოწეული ადგილი და გამჭვირვალე მინა უნდა იყოს მონიშნული კონტრასტული

ფერით, იქნება ეს საფეხური, მინის კარი თუ კედლის კუთხე, რადგანაც ხშირად მცირემხედველი მოსწავლეები მათ ვერ ამჩნევენ და იღებენ სერიოზულ ტრავმებს. ჭურჭელი, რითიც ჭამს მცირემხედველი მოსწავლე ასევე უნდა იყოს კონტრასტული ფერის მაგიდის ფერთან მიმართებაში.

უსინათლო და მცირემხედველ მოსწავლეს ბევრად გაუადვილებს თავისუფალი გადაადგილება, თუ კი შენობის ყველა ოთახს ექნება შესაბამისი წარწერა როგორც დიდი შრიფტით, ასევე ბრაილის შრიფტითაც. მნიშვნელოვანი განცხადებები და პლაკატი უნდა იყოს დაკიდებული მოსწავლის თვალების დონეზე, რათა მან შეძლოს მათი წაკითხვა. თუ კი მოსწავლეს უწევს ლიფტით გადაადგილება, მნიშვნელოვანია ლიფტის ღილაკებზე ბრაილის წარწერების არსებობა. ნებისმიერი ნიშანი, იქნება ეს ევაკუაციის გეგმა, თუ ნიშანი საპირფარეოს კარებზე, უნდა იყოს კონტრასტული ფერის და ზომით უფრო დიდი.

ტერმინთა განმარტება

ასტიგმატიზმი - მდგომარეობა, რომელიც იწვევს აღქმული ობიექტის ფორმის ფეფორმაციას

ამბლიოპია - ე.წ. „ზარმაცი თვალი“ ნიშნავს, რომ მხედველობა ერთ თვალში შემცირებულია იმის გამო, რომ თვალი და ტვინი არ მუშაობენ შეთანხმებულად.

ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - სხვადასხვა დარგის სპეციალისტების ჯგუფი, რომლების მუშაობენ 0-7 წლამდე ასაკის შშმ ბავშვებთან.

აქტივობა - მოქმედება, დავალება.

ბადურა - თვალის სისხლძარღვოვანი შრე, რომელზეც ხდება დანახული ობიექტის გარდაქმნა ნერვულ იმპულსად.

ბრაილის შრიფტი - უსინათლო პირებისთვის შექმნილი შრიფტი, რომელიც იყენებს ამობურცულ წერტილებს ასოების, რიცხვების და სხვა სიმბოლოების გამოსახატავად.

ბრაილის დაფა/ფანქარი - მოწყობილობა, რისი მეშვეობითაც ხდება ბრაილის სიმბოლოების შექმნა

ბრაილერი - ბრაილის შრიფტის საბეჭდი მანქანა

ბრტყელი ანბანი - ანბანი, რომელიც არის ბრტყლად ასახული ქალაქდზე; დაწერილი/დაბეჭდილი

სიმბოლოები.გლაუკომა - თვალის ნერვის დაზიანება, რომლის დროსაც ვიწროვდება მხედველობითი ველი.

განზოგადება/გენერალიზაცია - ერთ კონკრეტულ სიტუაციაში ნასწავლი უნარ-ჩვევების ან ქცევის გამოყენება სხვა ან მსგავს სიტუაციაში

დაუნის სინდრომი - ქრომოსომული დარღვევა, რომლის დროსაც ადამიანს 46 ქრომოსომის ნაცვლად აქვს 47. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებში ხშირია: გულის თანდაყოლილი მანკი, საჭმლის გადამუშავების პრობლემები, მხედველობის და სმენის დარღვევები, გონებრივი განვითარების შეფერხება.

ეპილეფსია - თავის ტვინის ქრონიკული დაავადება, რომელიც ხასიათდება განმეორებითი ეპილეფსიური გულყრებით.

ეგოცენტრულობა - მხოლოდ საკუთარ „მე“-ზე ზრუნვა და/ან საკუთარ საჭიროებებსა და სურვილებზე კონცენტრირება

ეროვნული სასწავლო გეგმა - ეროვნული სასწავლო გეგმით განისაზღვრება თითოეული კლასის ან საფეხურის მიზნები და მათი დასრულებისთვის მისაღწევი შედეგები.

ექოლალია - სხვისი ნათქვამი სიტყვების ან ფრაზების უნებლიე განმეორება.

ვერბალიზმი - მდგომარეობა, როდესაც ადამიანმა იცის სიტყვა, მაგრამ არ იცის მისი მნიშვნელობა.

ვიზუალური დისკრიმინაცია/დიფერენცირება - ვიზუალური სტიმულების ამოცნობა და დიფერენცირების, დანახულის აღქმის უნარი.

ვიზუალური მეხსიერება - ვიზუალური ინფორმაციის დაფიქსირება, შენახვა და აღდგენა

ვიზუალური თანმიმდევრობის უნარი - ვიზუალური ხატების დალაგება ზრდისა და კლებადობის პრინციპით

ვიზუალური დისკრიმინაცია - ვიზუალური ხატის დეტალების აღქმის უნარი. ამ უნარის მეშვეობით შეგვიძლია ვიზუალური სტიმულების შედარება.

ვიზუალური აღქმა - მხედველობით მიღებული ინფორმაციის გაგების, შემეცნების პროცესი

თვალისა და ხელის კოორდინაცია - თვალის მოძრაობის ხელის მოძრაობასთან კომბინირების უნარი. მხედველობის საშუალებით ხელების მოძრაობის კონტროლი.

თეთრი ხელჯოხი - ჰუვერის ჯოხი, რომლის მეშვეობითაც მხედველობითი დარღვევის მქონე პირები გადაადგილდებიან.

ინტერვენცია - საჭიროების შემთხვევაში, სპეციალისტების მომსახურება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - წერილობითი დოკუმენტი, შედგენილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის. ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს მოსწავლის ყველა საგანმანათლებლო საჭიროებას, ამ საჭიროებების დაკმაყოფილების გზებსა და ყველა დამატებით აქტივობას, რომელიც აუცილებელია გეგმით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

ინკლუზიური განათლება - თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება.

კატარაქტა - თვალის ბროლის სრული ან ნაწილობრივი შემღვრევა.

კორტიკული ვიზუალური დარღვევა

კლასიფიკაცია - დაჯგუფება გარკვეული ნიშნის მიხედვით კოგნიტური განვითარება - ინფორმაციის მიღების, გადამუშავების, შენახვის და გამოყენების პროცესი. წარმოადგენს ისეთი ფსიქიკური პროცესების ერთობლიობას, როგორცაა ყურადღება, აღქმა, აზროვნება, სწავლა და მეხსიერება.

მაგნიფიკატორი - ვიზუალური ხატის (სურათის, ტექსტის და ა.შ.) გამადიდებელი საშუალება.

მიოპია - თვალის ფოკუსირების პრობლემა რომელიც იწვევს შორს მდებარე საგნების ბუნდოვნად დანახვას.

მცირემხედველობა - მცირემხედველობა არის სათვალის ან კონტაქტური ლინზების გამოყენების, მედიკამენტების მიღების ან ოპერაციის ჩატარების მიუხედავად მხედველობის დაქვეითება.

მარფანის სინდრომი - წარმოადგენს მემკვიდრულ მდგომარეობას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ანომალურად გრძელი და თხელი თითები, ფეხის თითები და ძვლები, გულის თანდაყოლილი პრობლემები, კუნთების ზოგადი განუვითარებლობა და მხედველობითი დარღვევა, როგორცაა მიოპია, ბადურის ჩამოშლის საშიშროება, ნაწილობრივ გადახრილი თვალის ბროლი (დილოცირებული ბროლი).

მოტორული განვითარება - სხეულის ფიზიკური განვითარება რომელიც გულისხმობს როგორც მსხვილ ასევე ნატიფ მოტორულ უნარებს.

მოტორული იმიტაცია - სხვის მიერ შესრულებული მოძრაობის გამეორება

მსხვილი მოტორიკა - მოქმედებები, რომლებსაც ვასრულებთ სხეულის მსხვილი კუნთების გამოყენებით (სიარული, სირბილი, სროლა და ა.შ.

მხედველობის სიმახვილე - დანახვის სიცხადე, თუ რამდენად კარგად ხედავს ადამიანი

მხედველობითი ველი - როდესაც ადამიანის მზერა წინ არის მიმართული, ის ხედავს ასევე ორივე მხარეს (მარჯვნივ და მარცხნივ) თვალის მოძრაობის გარეშე.

მხედველობის ფუნქციური შეფასება - დადგენა იმისა, თუ რას ხედავს ადამიანი და როგორ იყენებს მხედველობას ყოველდღიურად.

მაკეტები - დიდი, ხელმიუწვდომელი საგნების ზუსტი მოდელები.

მულტიდისციპლინური გუნდი - სპეციალისტების გუნდი, რომლის შემადგენლობაში შედიან: ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, მეტყველების თერაპევტი, სპეციალური პედაგოგი და ზოგადი განათლების პედაგოგი.

მულტისენსორული მიდგომა - სწავლების დროს რაც შეიძლება ბევრი შეგრძნებების გამოყენება.

ნისტაგმი - თვალის კაკლის უნებლიე მოძრაობები

ნატიფი მოტორიკა - ხელის თითებით შესრულებული წვრილი მოძრაობები საგანთა ასაღებად, დასაჭერად. მაგ.: ხატვა, წერა და ა.შ.

ნარჩენი მხედველობა - ის მინიმალური მხედველობა, რომელიც შენარჩუნებული აქვს უსინათლო ადამიანს

ოპტიკური (მხედველობითი) ნერვი - ნერვული ქსოვილი, რომლის მეშვეობითაც ვიზუალური ინფორმაცია და გაეცემა ტვინის შესაბამის წილს.

ოფთალმოლოგი - თვალის ექიმი, რომელსაც შეუძლია მხედველობის შემოწმება, სათვალეების გამოწერა და ქირურგიული ჩარევა

ოპტომეტრისტი - მხედველობის კორექციის სპეციალისტი, რომელსაც შეუძლია მხედველობის შეფასება, და შესაბამისად სათვალის ან კონტაქტური ლინზების გამოწერა.

ოკუპაციური თერაპია - გულისხმობს ადამიანის ფუნქციონირების გაზრდას მიზანმიმართულ საქმიანობებში ჩართულობის გზით.

ორიენტაცია და მობილობა - სივრცის შეგრძნება და მასში საკუთარი სხეულის პოზიციის აღქმა და უსაფრთხო გადაადგილება

პრევენცია - პროფილაქტიკური ღონისძიებები

რეტინოპათია - თვალის სისხლმომარაგების დარღვევის ან თვალის ბადურაზე არსებული ნაწიბურების გამო დაქვეითებული მხედველობა.

სერიაციის უნარი - გულისხმობს საგნების დალაგებას ზრდადობის ან კლებადობის მიხედვით, თანმიმდევრობის შექმნა რაიმე პრინციპის მიხედვით (მაგ.: პატარა დიდი-საკენ, დაბლიდან მაღლისაკენ და ა.შ.)

სტრაბიზმი - სიელმე; მდგომარეობა, როდესაც მზერა ასიმეტრიულია

სკრინინგი - ბავშვის განვითარების შეფასება და დარღვევების აღმოჩენა.

ტოტალური უსინათლოობა - მდგომარეობა, რომლის დროს ადამიანი სრულიად უსინათლოა

ტაქტილური - ზედაპირი, რისი აღქმაც შეიძლება კანით

ტაქტილური რუკა - რუკა, რომლის შესწავლა შეიძლება შეხებით

ფოტოფობია - გადაჭარბებული მგრძობელობა სინათლის მიმართ.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე - მოსწავლე, რომელსაც დაავადების, ტრავმის, გონებრივი თუ ფიზიკური განვითარების შეფერხების შედეგად,

ჯანმრთელობის მოშლის გამო, დარღვეული აქვს ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციები.

ცნება - მოიცავს წარმოდგენებს საგნების, პროცესების შესახებ ან საგანთა შორის ურთიერთობებზე (მაგ.: მაგიდა, ქერი, ადამიანი, წვიმა, სიყვარული და ა.შ.)

ჰიპეროპია - შორსმხედველობა; ვლინდება ახლომხედველობის უნარის დაქვეითების სახით.

ჰიდროცეფალია - პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც თავის ქალაში თავ-ზურგ-ტვინის სითხის ჭარბი რაოდენობით ხასიათდება. მკურნალობის დაგვიანების შემთხვევაში უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე.

ჰიპერმზრუნველობა - მდგომარეობა, როდესაც მშობელი ნორმაზე მეტად უვლის საკუთარ შვილს და არ აძლევს მას დამოუკიდებლობის საშუალებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- თათია პაჭკორია, ანა ლალიძე, გიორგი დემეტრაშვილი, მარიამ მიქიაშვილი, გურანდა ჯამათაშვილი (2013). მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეების სწავლება. განათლების და მეცნიერების სამინისტრო.
- ოგანეზოვი ლუსია და ცირა ნიკოლაიშვილი, (2014). სწავლების მეთოდები უსინათლო და მცირემხედველი მოსწავლეებისთვის. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. ISBN 978-9941-0-6891-1
- LaVenture Susan, (2007) A Parents' Guide to Special Education for Children with Visual Impairments. American Foundation for the Blind. ISBN: 978-0-89128-892-3
- Tips for Parents of Visually Impaired Children , [Online], Available: <https://www.webmd.com/eye-health/tips-for-parents-visually-impaired-children#1>
- Teaching Students with Visual Impairment, Independent living, [Online], Available: https://www.teachingvisuallyimpaired.com/independent-living.html?fbclid=IwAR1AjjmN-fYvYhox6kczqUvfi3phy9fvkrmd9SL_JDSbgf4h-SbU6KP2cluY
- California Department of Education, (2006), CA 95814-5901 The Braille Mathematics Standarts , Exeter: Author.
- Cox, P. and Dykes, M. (2001) 'Effective classroom adaptations for students with visual impairments', TEACHING Exceptional Children, Vol. 33, no. 6, pp. 68-74.
- Teaching mathematics to a blind student - a case study(2006) [Online], Available:<http://people.exeter.ac.uk/PErnest/pome20/Mariella%20Tanti%20Teaching%20Mathematics%20to%20a%20Blind%20Student%20-%20%20%20%20%20%20A%20Case%20Study.pdf>
- Fisher, S.P. and Hartmann, C (2005) Math through the Mind's Eye. Mathematics Teacher Vol 99, No.4. NCTM, USA.
- BC Ministry of Education (2008), Reading Strategies for Students with Visual Impairments: A Classroom Teacher's Guide, Published by SET-BC
- Carney, S. Engbretson, C. Scammell, K.(2003) Teaching Students with Visual Impairments. A Guide for the support team, Saskatchewan Learning
- Hyvärinen, L. Jacob, N. (2011) What and how does this child see? Assessment of visual functioning for development and learning, Finland: VISTEST Ltd.

